13 დეკემბერს მოწვეულია

სკკპ ცკ-ის პლენუმი

ღირსეული შეხვედრა!

ჩემი შრომითი საჩუქარი

პირველად რომ უკრაინელ ცნობილ მეღორეს იაროსლავ ჩიჟს შევხვდი და მასთან სოციალისტური შეჯიბრებით 1.000 ღორის გასუქება ვიკისრე, არ დავმალავ. ზოგიერთები ეჭვის თვალით უყურებდნენ ჩემს მიერ აღებულ ვალდებულებას.

მაგრამ ნათქვამია — თავდადებული შრომა დედაა ყოველგვარი სიკეთისო, და ჩვენს ფერმაშიც სწორედ ასეთი შრომით გავტანეთ ლელო: მიმდინარე წლის 30 ოქტომბრისათვის უკვე გავასუქე და სახელმწიფოს მივყიდე 884 ღორი — 764 ცენტნერი საერთო წონით. ცენტნერი ხორცის თვითღირებულება შარშანდელთან შედარებით 548 მანეთით შევამცირე, წელს ცენტნერი ხორცი 202 მანეთი დამიჯდა.

გაინტერესებთ, როგორ მივაღწიე ამ მაჩვენებლებს? — უპირველეს ყოვლისა ღორების მსხვილ ჯგუფებად გასუქებისა და პირუტყვის კვების ახალი, პროგრესული მეთოდის დანერგვით, ფერმაში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის გამოყენებით.

გუშინწინ შევიტყე, რომ მიმდინარე წლის 13 დეკემბერს მოწვეულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი, რომელიც სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საკითხს განიხილავს. ჩემი სურვილია პლენუმს ახალი შრომითი წარმატებებით შევხვდე. სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი 1.000 ღორის ნაცვლად გავასუქებ და პლენუმის გასნის წინადღეებში სახელმწიფოს მივყიდი 1.200 ღორს ისე, რომ ცენტნერი ხორცის თვითღირებულება არ აღემატებოდეს 200 მანეთს.

ეს იქნება ჩემი შრომითი საჩუქარი სამშობლოსადმი.

დავით სეფიაშვილი.

წითელწყაროს რაიონის სოფელ კათარიძის კოლმეურნეობის უფროსი მეღორე.

ჩვენი დღეების გმირები

შევქმნათ წიგნები თანამედროვეებზე — კომუნიზმის მშენებლებზე

ადამიანი, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ქვეყანაში გაიზარდა, რომელიც კომუნისტების ლენინურმა პარტიამ აღზარდა, განსაკუთრებული სისავსით ამყოვნებს თავისი ახალი სამყაროს მებრძოლისა და მშენებლის კეთილშობილურ მორალურ სახეს, თავის სულიერ სილამაზეს ჩვენს შესანიშნავ ეპოქაში, როცა საბჭოთა ხალხი აწარმოებს კომუნიზმის გაშლილ მშენებლობას.

შთამაგონებელ, შემოქმედებით შრომაში, შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის საყოველთაო სახალხო შეჯიბრებაში, მილიონობით ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში მკაფიოდ იჩენს თავს ახალი ადამიანის — კომუნისტური მომავლის ადამიანის ნიშნები.

ამ ნიშნებს ჩვენ ვხედავთ ქალაქისა და სოფლის წარმოების სახელგანოქმულ ნოვატორთა საქმეებსა და ფიქრებში: კოსმოსის დამმორჩილებელი საბჭოთა მეცნიერების შესანიშნავ საქმეებში; ხალხისათვის იმათ თავდადებულ სამსახურში, ვინც პარტიისა და კომკავშირის მოწოდებით სამშაოდ წავიდა უამირი მიწების ასათვისებლად, შვიდწლედის ახალ მშენებლობებზე; იმათ გმირობაში, ვინც იარაღით ხელში იცავდა ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს, ვინც დგას საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შრომის საღარაჯოზე; კომუნისტური შრომის დამკვრელებისა და კოლექტივების მუშაობასა და ყოფაცხოვრებაში; იმათ კეთილშობილურ საქმიანობაში, ვინც მთელ თავის ძალღონეს ახმარს მოზარდი თაობის აღზრდას.

ჩვენი თანამედროვეების, კომუნიზმის მშენებლების მართალი პორტრეტების შექმნა ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეთა, ჟურნალისტთა, საბჭოთა კულტურის ყველა მუშაკის საპატიო ვალია.

„პრავდის“ რედაქცია უახლოეს ხანში იწყებს ნარკვევების სისტემატურ გამოქვეყნებას ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანებზე. ამ ნარკვევებისაგან შემდგომ შედგენილი იქნება წიგნების სერია — „ჩვენი დღეების გმირები“. „პრავდის“ რედაქციას გათვალისწინებული აქვს, რომ პირველი ასეთი სერია გამოუშვას სკკპ XXII ყრილობისათვის.

ამ დიდ საქმეს წარმატებით გადაჭრის მწერალთა, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეთა, ჟურნალისტთა, მუშა და სოფლის კორესპონდენტთა, გაზეთების, ჟურნალებისა და გამომცემლობების რედაქციათა კოლექტივების შემოქმედებითი ღონისძიებანი.

ამ დიდ საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეიძლება შეასრულოს ქარხნებისა და სოფლების კოლექტივების, სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებათა, სამხედრო ნაწილების წერილებმა, რეკომენდაციებმა და რჩევა-დარიგებამ: ვის შესახებ უნდა ვწეროთ, ვინ მიაჩნიათ მათ ჩვენი დღეების გმირებად მათთვის ცნობილ ადამიანთა, ამხანაგთა შორის. გამოიყენებს რა ასეთ წერილებს და რეკომენდაციებს, რედაქცია ადგილებზე გაგზავნის მწერლებსა და ჟურნალისტებს, რომლებიც „პრავდის“ ფურცლებზე უამბობენ მკითხველებს ამ ადამიანთა შესახებ.

„პრავდის“ რედაქცია იწვევს მწერლებს, მეცნიერების და კულტურის მოღვაწეებს, ჟურნალისტებს, მუშა და სოფლის კორესპონდენტებს, ყველა საბჭოთა ადამიანს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ ჩვენი დღეების გმირებზე ნაწარმოებთა შექმნაში.

ნარკვევები, რეპორტაჟები, სტატიები, წერილები, რეკომენდაციები გამოგზავნეთ „პრავდაში“ წარწერით: „ჩვენი დღეების გმირები“.

„პრავდის“ სარედაქციო კოლეგია.

31 ოქტომბერი

ყოველი ეპოქა თავის გმირებს წარმოშობს

★

PRAVDA

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი ალექსი თავაზიანობის ვიზიტად ეწვია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გ. ჯავახიშვილს

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი ალექსი, რომელიც საქართველოში იმყოფება სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ეფრემ II მოწვევით, 29 ოქტომბერს თავაზიანობის ვიზიტად ეწვია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გ. ჯავახიშვილს.

დარბაზობას გ. ჯავახიშვილთან დაესწრნენ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ეფრემ II, ხერსონისა და ოდესის მიტროპოლიტი ბორისი, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა რწმუნებული მ. მექვაბიშვილი. (საქდესი).

„სსრ კავშირის სამოქალაქო ომის მოკლე ისტორია“

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა „სსრ კავშირის სამოქალაქო ომის მოკლე ისტორია“. ეს არის მოთხრობა ჩვენი სამშობლოს მუშათა კლასისა და გლეხობის უმაგალითო გმირობაზე, გამძლეობასა და მამაცობაზე, რომლებმაც იმ მრისხანე წლებში საბჭოთა ხალხი იმპერიალიზმისა და შინაური კონტრრევოლუციის ძალების წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლაში დაიცვეს ოქტომბრის დიადი მონაპოვარი.

პროლეტარებო ყველა ქვეყანისა, მეერთდით

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 254 (11865)

სამშაბათი, ნოემბერი 1960 წ.

ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარი

კუბელ ჟურნალისტებთან 1960 წლის 22 ოქტომბერს

როგორც პრესა უკვე იუწყებოდა, 22 ოქტომბერს ნ. ს. ხრუშჩოვმა კრემლში მიიღო კუბელ ჟურნალისტთა დელეგაცია გაზეთ „რევოლუციონის“ დირექტორის კარლოს ფრანკის მეთაურობით.

ნ. ს. ხრუშჩოვსა და კუბელ ჟურნალისტებს შორის გაიმართა მეგობრული, გულითადი საუბარი. შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვმა უპასუხა კარლოს ფრანკის კითხვებზე.

ქვემოთ ქვეყნდება საუბრის ტექსტი და ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხი მისთვის მიცემულ კითხვებზე.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ნება მიბოძეთ მოგესალმოთ თქვენ, როგორც საუკეთესო მეგობრებს, როგორც კუბელი ხალხის, მისი პრესის წარმომადგენლებს. პრესისა, რომელიც მოწოდებულია მშრომელ ხალხს ემსახურებოდეს. ასეთი პრესა შეიძლება იყოს ქვეყნებში, სადაც ხალხმა გაიმარჯვა. იმ ქვეყნებში, სადაც კაპიტალი ბატონობს, ექსპლოატატორულ კლასებს მაგრად აქვთ ჩაბღუჯული ხელში ადამიანთა გონების ჩამოყალიბებაზე ზეგავლენის ყველა საშუალება, მათ შორის პრესა, რადიო, ტელევიზია. მარტო იმ ქვეყნებში, სადაც ხალხმა გაიმარჯვა, პრესა ნამდვილად ემსახურება ხალხის ინტერესებს.

ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა შეგხვდეთ თქვენ. მოგისმინოთ და, თუ კითხვები გექნებათ, გიპასუხოთ ამ კითხვებზე.

კარლოს ფრანკი (კაზეთ „რევოლუციონის“ დირექტორი). ჩვენ გვსურს დიდი მადლობა გიძღვნათ იმ სიმპათიისათვის, რომელსაც თქვენ ჩვენი ხალხის მიმართ იჩენთ, იმისათვის, რომ თქვენ სცნობთ ჩვენს რევოლუციას. ჩვენ არ გვაკვირვებს თქვენი სიტყვები, იმიტომ, რომ მშვენივრად ვიცით მეგობრობის ის გრძნობები, რომლებსაც საბჭოთა კავშირის ხალხები, მისი მთავრობა და პირადად თქვენ განიცდით ჩვენი სამშობლოს მიმართ. ეს არის მეგობრობა, რომლისთვისაც ჩვენი ხალხი მხურვალე მადლობას გიძღვნით თქვენ. ყოველივე ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმპერიალიზმის წინააღმდეგ ჩვენი შეუდრეკელი ბრძოლისათვის.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ჩვენ ძლიერ ვმაყოფილი ვართ იმ ურთიერთობით, რომელიც საბჭოთა კავშირსა და კუბას შორის იქმნება. საბჭოთა ხალხი დიდი თანაგრძნობით ეკიდება კუბელი ხალხის ბრძოლას იმპერიალისტთა აგენტის — დიქტატორ ბატისტას წინააღმდეგ. ჩვენ დიდ პატივს ვცემთ თქვენს ბელადს, მთელი კუბელი ხალხის ბელადს — ჩვენს მეგობარს ფიდელ კასტროს და მის სხვა თანამებრძოლებს, რომლებიც თავიანთი ხალხის ერთგულნი არიან. თქვენს ხელმძღვანელებს კარგად ესმით, რომ ხალხს შეუძლია გაიმარჯვოს მხოლოდ მტკიცე ბრძოლით მონოპოლისტთა წინააღმდეგ, კოლონიზატორთა წინააღმდეგ, სახალხო წყობილების, ნამდვილი სახალხო ხელისუფლების დამყარებისათვის.

ხალხის მტრები მუდამ ცდილან სწამებენ რევოლუციის ბელადებს. როცა რუსეთში 1917 წელს რევოლუცია მოხდა, რეაქციონერები რუსეთში ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს გერმანელთა ჯაშუშს, მათს აგენტს უწოდებდნენ. მაგრამ ეს წარბს ვერ ახრევინებდა ლენინა. მუშებს, მშრომელ ხალხს ესმოდათ, რომ მტრებს სურთ ჩირქი მოსცხონ ლენინს, რომ მათ ეშინიათ მისი სიტყვებისა, ეშინიათ მისი გავლენისა რუსეთის ხალხთა მასებზე. ისტორიამ დაამტკიცა, ვინ არის ხალხის ნამდვილი წარმომადგენელი, ხოლო ვინ იყო იმპერიალიზმის აგენტი. მაშინ რუსეთის პრემიერ-მინისტრი კერენსკი იყო; ახლა იგი ცხოვრობს ამერიკის შეერთებულ შტატებში ამერიკის იმპერიალიზმის ციხეზე, ხოლო ლენინის იდეებმა გაიმარჯვა საბჭოთა კავშირში. ისტორიამ აგრეთვე დაამტკიცა, რომ ლენინი არა მარტო რუსეთის მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის ბელადია, არამედ მთელი მსოფლიოს მშრომელთა მასწავლებელი და ბელადიც.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ თქვენ გესმოდეთ, როგორ წარმართავენ მტრები თავიანთ ღონისძიებებს, რათა ჩირქი მოსცხონ რევოლუციის ბელადებს და ამით ძირი გამოუთხარონ მათს გავლენას ხალხზე. ასეთი ხერხი რევოლუციის წინააღმდეგ იმპერიალიზმის, კოლონიალიზმის ბრძოლის ერთ-ერთი საშუალებაა. ამიტომ მე ხშირად ვიმეორებ ავგუსტ ბებელის სიტყვებს, რომელმაც თქვა, თუ ბურჟუაზია გლანძღავს, მაშასადამე, სწორ პოზიციებზე დგახარ; ხოლო თუ იგი გაქებს, დაუფიქრდი, რა სისულელე ჩაგიდენია, რომლისთვისაც ბურჟუაზია გაქებსო. კარგია, რომ ბურჟუაზია ჩვენ კი არ გვაქებს, არამედ გვლანძღავს. მაშასადამე, ჩვენ სწორ პოზიციებზე ვდგავართ და ერთგულად ვემსახურებით მუშათა კლასს, მშრომელ ხალხს.

კარლოს ფრანკი. მაშასადამე, ჩვენც, კუბელებიც, სწორად ვიქცევით, იმიტომ რომ ბურჟუაზია ძალიან ბევრ ცუდ რამეს ამბობს ჩვენი რევოლუციის შესახებ.

ნ. ს. ხრუშჩოვი. თუ იგი თქვენ გლანძღავთ, მაშასადამე, თქვენ აკეთებთ საქმეს, რომელიც სასარგებლოა იმათთვის, ვისაც ბურჟუაზია ექსპლოატაციას უწევს. ეს თავისებური ბარომეტრია, რა თქმა უნდა, ბარომეტრი რევოლუციონერებისათვის.

კარლოს ფრანკი. ჩვენი მეგობრები კი გვეუბნებიან იმ სიტყვებს, რომლებიც ძალიან კარგია ჩვენთვის და გვეხმარება.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ვხედავ, თქვენ ფანქრები ამოგიღიათ, ქაღალდი დაგიწყვიათ, და მე თითქოს რაღაც უნდა გიკარნახოთ! **(მხიარული გამოცოცხლება).**

კარლოს ფრანკი. ახლა, სანამ ჩვენს საუბარზე გადავიდოდეთ, გვინდა ზოგიერთი საჩუქარი გადმოგცეთ.

ხოსე ლორენსე ფუენტესი, გვინდა გადმოგცეთ ნუნიეს ჰიმენესის წიგნი. ჩვენს ქვეყანაში აგრარული რეფორმის ორგანიზაციის შესახებ და ჟურნალ „ინრას“ სპეციალური ნომერი, მიძღვნილი აგრარული რეფორმისადმი.

ნ. ს. ხრუშჩოვი. მადლობელი ვარ. მე დიდ პატივს ვცემ ჩვენს მეგობარს ჰიმენესს. მას უკვე ორჯერ შეეხვდი. (გადაშლის წიგნს, დაჰყურებს ჰიმენესის პორტრეტს და ამბობს: კარგი პორტრეტია. შესანიშნავი წვერია!). **(მხიარული გამოცოცხლება).**

კარლოს ფრანკი. ჰიმენესი ძალიან იამაყებს, ამ სიტყვებს რომ გაიგონებს.

ანტონიო ლეონ აიონი. ეს წიგნი კი თქვენთვის გადმოსაცემად მომეცა კუბელმა ჟურნალისტმა პაოლო ლადამ, რომელიც თქვენ გაცნობთ, ნიუ-იორკში შეგხვედრიათ. ამ წიგნშია მისი შთაბეჭდილებანი ჩვენი ომის უკანასკნელი სამი თვის შესახებ.

ნ. ს. ხრუშჩოვი. გმადლობთ.

კარლოს ფრანკი. ერთ-ერთი კითხვა, რომელიც მინდა მოგცეთ, შეეხება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წლისთავის წლევანდელ დღესასწაულს თქვენს ქვეყანაში და ეხება იმ წარმატებებს, რომლებსაც თქვენმა რევოლუციამ თანამედროვე ეტაპზე მიაღწია.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ჩვენს წარმატებებზე თუ ვილაპარაკებთ, მე ასე ვიტყოდი: შედეგები თავისთავად მეტყველებენ. ჩვენი ქვეყანა მსოფლიოში მეორე ქვეყანა გახდა თავისი ეკონომიური ძლიერების მხრივ. მეცნიერების, კულტურის განვითარების საკითხებშიც ძალიან მაღალი მდგომარეობა გვიჭირავს. ამას მოწმობს თუნდაც ის, რომ კოსმოსის დაპყრობის მხრივ ჩვენ წამყვანი ადგილი გვიჭირავს ამერიკასთან შეჯიბრებაში. ხოლო სხვა ქვეყნები ჯერ არაკი მონაწილეობენ ამ შეჯიბრებაში. სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის საკითხებში. ქვეყნისათვის კადრების შექმნის საკითხებში ჩვენ პირველი ადგილი გვიჭირავს. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საბჭოთა კავშირში თავიანთი ადამიანებიც კი გამოგზავნეს იმის შესასწავლად, თუ როგორ გვაქვს დაყენებული სახალხო განათლება.

ყოველივე ეს დიდი მიღწევაა ჩვენი ქვეყნისათვის, განსაკუთრებით თუ მივიღებთ მხედველობაში, რა დაბალ დონეზე იდგა იგი ოქტომბრის რევოლუციამდე ზოგიერთ სხვა დიდად განვითარებულ ქვეყანასთან შედარებით.

კარლოს ფრანკი. თქვენი აზრი ლენინზე და ახალი ცხოვრების მშენებლობის ხელმძღვანელობის ლენინურ მეთოდებზე?

ნ. ს. ხრუშჩოვი. გამარჯვებები და მიღწევები ჩვენი ქვეყნის, და არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ მთელი რევოლუციური მოძრაობის განვითარებაში დამაჯერებლად მოწმობს ლენინის სიდიადეს, მისი იდეების სიდიადეს, მისი, როგორც პროლეტარიატის ბელადის, კომუნისტური პარტიის დამაარსებლისა და ბელადის ორგანიზატორულ ნიჭს. ახლა ეს ისტორიის მიერ არის დამტკიცებული. ამას აღიარებს არა მარტო მუშათა კლასი, მშრომელი ხალხი; ლენინური იდეების მტრებიც კი

(დასასრული მე-2 გვ.).

აკადემიკოსი ა. ნ. ნესმეიანოვი თბილისში

ერევნიდან საქართველოს დედაქალაქში ჩამოვიდა გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ა. ნ. ნესმეიანოვი. იგი მონაწილეობდა სსრ კავშირის, აზერბაიჯანის სსრ, სომხეთის სსრ და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიების გაერთიანებულ სამეცნიერო სესიაში, რომელიც მიეძღვნა სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების და სომხეთის კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავს.

აკადემიკოსი ა. ნ. ნესმეიანოვი თბილისში დაჰყოფს რამდენიმე დღეს, გაეცნობა რესპუბლიკის სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების საქმიანობას. გუშინ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს ნ. ი. მუსხელიშვილისა და რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის რ. რ. დვალის, აგრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ზუსტი მექანიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ინსტიტუტის დირექტორის, აკადემიკოს ს. ა. ლებედევის თანხლებით მან დათვალიერა თბილისის მთელი რიგი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები და ლაბორატორიები. შეხვდა თანამედროვე მეცნიერების სხვადასხვა დარგში მომუშავე ქართველ მეცნიერებს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში ა. ნ. ნესმეიანოვი ესაუბრა ინსტიტუტის დირექტორს პროფესორ ე. ლ. ანდრონიკაშვილს, მის მოადგილეს დოცენტ ა. ი. გაჩეჩილაძეს და სხვა წამყვან მეცნიერ მუშაკებს, რომლებმაც საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს გააცნეს ქართველ მეცნიერ-ფიზიკოსთა მუშაობა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის საქმიანობაზე ილაპარაკა ამ ინსტიტუტის დირექტორმა, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. გ. ბავკანიძემ.

ერთ-ერთმა წამყვანმა საბჭოთა ქიმიკოსმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ელემენტურ-ორგანული შენაერთების ინსტიტუტის დირექტორმა აკადემიკოსმა ა. ნ. ნესმეიანოვმა დიდი ინტერესი გამოიჩინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახელობის ქიმიის ინსტიტუტის საქმიანობისადმი. ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა გ. ვ. ცაცანაშვილმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს გააცნო შუშაობა, რომელსაც ეწევა ინსტიტუტის კოლექტივი. (საქდესი).

ახლოვდება ოქტომბრის დღესასწაული

როგორ ხვდებით მას?

აჭარელ მეციტრუსეებთან

შავი ზღვის სანაპიროზე უჩვეულო თბილი და მზიანი დღეებია. ციტრუსების ბაღებში სიყვითლე შეპარვიათ მანდარინს, ლიმონს, ფორთოხალს. მწიფდება პირველი ნაყოფი, და ციტრუსების „რთველიც“ დაიწყო. აჭარის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობებში უკვე შეუდგნენ მანდარინის, ლიმონის, ფორთოხლის შერჩევით კრეფას. „გონიოს საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა პირველსავე დღეს 6 ტონა მანდარინი მოკრიფა.

შერჩევითი კრეფის პირველ დღეებში თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს ბათუმის რაიონის მახინჯაურის საბჭოთა მეურნეობის მუშაკებმა. მათ გასულ წელს სახელმწიფოს ჩააბარეს 1 მილიონ 229 ათასი ცალი მანდარინი, ათი ათასობით ცალი ლიმონი და ფორთოხალი. წელს მახინჯაურელმა მეციტრუსეებმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავის აღსანიშნავად კიდევ უფრო მაღალი ვალდებულებები აიღეს.

აგრეთვე მეციტრუსეებს გადაწყვეტილი აქვთ წელს სახელმწიფოს მიჰყიდონ 400 მილიონ ცალზე მეტი ციტრუსი.

მანდარინის პირველი პარტია ოქტომბრის დღესასწაულისათვის გაიგზავნება მოსკოვში, ლენინგრადსა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში.

• • •

სურათზე: მახინჯაურის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის მუშა ნ. აკსენენკო მანდარინის შერჩევითი კრეფის დროს.

ფოტო ა. ვიგანასისა (საქდესის ფოტოქრონიკა).



ვადაზე ათი დღით ადრე

ბათუმი, 31 ოქტომბერი. (საქდესი). აჭარის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა გაშალეს შეჯიბრება შვიდწლედის მეორე წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის და მიაღწიეს მნიშვნელოვან წარმატებას. მათ ვადაზე ათი დღით ადრე გაანაღდეს ათი თვის პროგრამა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია მილიონობით მანეთის ნავთობნაწარმი, მანქანა, ტანისამოსი, ფეხსაცმელი, ბაიხაო ჩაი და სხვა პროდუქცია.

აგაშის მარკით უცხოეთში

აბაშა. (საკ. კორ.). აბაშის მექანიკური ქარხანა სატვირთო ავტომანქანის 18 სახის სხვადასხვა სათადარიგო ნაწილებს ამზადებს, რომელიც იგზავნება ჩვენი ქვეყნის მსხვილ სამრეწველო ცენტრებში — არხანგელსკში, ბარნაულში, ბრიანსკში, გორკიში, ხოლო მოსკოვის მთავარი საექსპორტო ბაზიდან — უცხოეთის ქვეყნებში.

ქარხნის კოლექტივმა ათი თვის დავალება ოქტომბრის ბოლოსათვის წარმატებით გაანაღდა და გადაწყვიტა, რომ საოქტომბრო ზეიმის შესახვედრად გეგმის გადამეტებით 200.000 მანეთის პროდუქცია გამოუშვას.

ვალდებულება განაღდებულია

სოხუმი. (საკ. კორ.). მიმდინარე წლის დასაწყისში მაღალი სოციალისტური ვალდებულებები იკისრა სოხუმის ი. ბ. სტალინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკის კოლექტივმა. როგორც მზა პროდუქციის გამოშვების გადიდების საქმეში, ისე მატერიალური სახსრების ეკონომიის დარგში.

ამას წინათ ფაბრიკის კოლექტივმა შეაჯამა შეჯიბრების ცხრა თვის შედეგები. გასულ სამ კვარტალში გეგმის ზევით გამოშვებულია 22 მილიონი ცალი პაპიროსი.

ნედლეულისა და მასალების მომჭირნეობით ბარჯვის შედეგად მეპაპიროსეებმა დაზოგეს და შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეიტანეს 320 ათასი მანეთი ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 300 ათასისა.

სოხუმელმა მეთამბაქოეებმა იკისრეს შემდგომში კიდევ უფრო გაზარდონ საწარმოო ტემპები. ოქტომბრის დიადი დღესასწაულის დღისათვის გადაწყვეტილია შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში დამატებით შეიტანონ არანაკლებ ასი ათასი მანეთისა.

მილიონი — შვიდწლედის ფონდში

ქუთაისი. (საკ. კორ.). წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში დაწინაურდა საკონსერვო ქარხნის კოლექტივი, რომელმაც ვადაზე ადრე გადაჭრებებით შეასრულა ათი თვის დავალება და გეგმის ზევით მისცა სამომბლოს 3 მილიონ 370 ათასი მანეთის პროდუქცია.

ათ თვეში ქუთაისელმა მეკონსერვეებმა დიდძალი ნედლეული, ძირითადი და დამხმარე მასალები, აგრეთვე სათბობი და ელექტროენერგია დაზოგეს. ზეგეგმიური ეკონომიის „გზით მთელი წლისათვის ნაკისრი 500 ათასი მანეთის ნაცვლად შვიდწლედის ფონდში შეიტანეს მილიონზე მეტი მანეთი.

ქარხანამ მნიშვნელოვნად გააფართოვა პროდუქციის ასორტიმენტი. ათვისებულია მაღალხარისხოვანი სიროფები, ხილის წვენის, აგრეთვე კუპატების და ხაშის კონსერვების წარმოება. სამწარმოს კოლექტივის გადაწყვეტილებაა 7 ნოემბრისათვის შეასრულოს ოერთმეტი თვის დავალება.

თურქეთის ელჩის გამოსვლა მოსკოვის ტელევიზიით

28 ოქტომბერს სალამოს მოსკოვის ტელევიზიით გამოვიდა თურქეთის ელჩი საბჭოთა კავშირში ფაჰრი ქორუთურქი. თავისი გამოსვლა მან მიუძღვნა თურქი ხალხის ეროვნულ დღესასწაულს — რესპუბლიკის გამოცხადების დღეს. (საკდესი).

ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარი

(დასასრული)

აღიარებენ ლენინის სიდიადეს. საბჭოთა ხალხის წარმატებანი, ჩვენს ქვეყანაში და ახალი ცხოვრების მშენებელ სხვა ქვეყნებში სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის წარმატებანი — სწორედ ყოველივე ეს არის ლენინის სიდიადე, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების სიდიადე და გამარჯვება.

კარლოს ფრანკი. როგორც თქვენ უკვე თქვით, საბჭოთა კავშირმა გაუსწრო ამერიკის შეერთებულ შტატებს ცხოვრების ბევრ დარგში, მეცნიერების მთელ რიგ დარგებში, კადრების მომზადებაში. თქვენს ქვეყანაში ბრძოლით მოპოვებულია ბედნიერება თქვენი ხალხისათვის. როგორ ფიქრობთ, რა ვადა იქნება საჭირო ინისათვის, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს გაუსწროთ არა მარტო ამ მხრივ, არამედ ეკონომიკის დარგშიც, ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივაც?

ნ. ს. ხრუშჩოვი. ჩვენი ვარაუდით ამ ამოცანას გადაწყვეტთ— ერთ სულ მოსახლეზე ძირითად სახეობათა პროდუქციის წარმოების მხრივ ამერიკის შეერთებულ შტატებს გავუსწრებთ 1970 წელს, ესე იგი 10 წლის შემდეგ. ეკონომისტების გამონაგარიშებით 1980 წელს ჩვენ შეგვეძლება ამერიკის შეერთებულ შტატებთან შედარებით ვაწარმოოთ ერთ სულ მოსახლეზე გაცილებით მეტი პროდუქტები, ვიდრე მათ. 1965 წელს ჩვენში მოხმარების საგნების წარმოება ერთ სულ მოსახლეზე იქნება ევროპის ქვეყნების დონეზე ან ამ დონეზე მაღლაც.

კარლოს ფრანკი. რა შეგიძლიათ თქვათ კუბაზე თქვენი ვიზიტის შესახებ?

ნ. ს. ხრუშჩოვი. ვფიქრობ, რომ, როგორც ჩანს, შესაძლებლობა მექნება ვისარგებლო იმ თავაზიანობით, რომელიც გამიწიეს, როცა მიმიწვიეს კუბაში. რომელ თვეს შემეძლება თქვენს ქვეყანაში წამოსვლა, ამის თქმა ახლა ძნელია, რადგან 1961 წელს უნდა გაიმართოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყრილობა.

კუბელ ხალხს სიტყვას რომ მისცემ — ეს იმას ნიშნავს, რომ აუცილებლად უნდა შეასრულო ეს სიტყვა. ამიტომ მინდა მოგცეთ სიტყვა. მაგრამ ამასთან გამოვიჩინო გარკვეული სიფრთხილე, რათა სწორად გაიგონ ჩემი სურვილი და ჩემი შესაძლებლობანი. ჩემი სურვილია რაც შეიძლება მალე ვესტუმრო კუბას და შევხვდე კუბელ ხალხსა და მის ბელადებს.

კარლოს ფრანკი. იმპერიალისტები ამტკიცებენ, რომ საბჭოთა მთავრობის განცხადებას რაკეტული იარაღის გამოყენების შესაძლებლობის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ კუბის წინააღმდეგ შეიარაღებული აგრესია მოხდა, წმინდა სიმბოლიური მნიშვნელობა აქვს. რას ფიქრობთ თქვენ ამაზე?

ნ. ს. ხრუშჩოვი. ჩემი სურვილია, რომ ასეთი განცხადება, რომელსაც კუბის რევოლუციის მტრები აკეთებენ, მართლაც სიმბოლიური იყოს. ამისთვის კი საჭიროა, რომ იმპერიალისტთა მუქარა კუბის წინააღმდეგ ინტერვენციის შესახებ გადაქცეულ არ იქნას საომარ მოქმედებად და მაშინ საჭირო არ იქნებოდა აგრესიის წინააღმდეგ კუბელი ხალხისათვის შეიარაღებული დახმარების შესახებ ჩვენი განცხადების რეალობის შემოწმება. გასაგებია ეს?

კარლოს ფრანკი. ჩვენც ამას გამოვიყენებთ ფიგურალურად გამოთქმით იმ შემთხვევაში, თუ ისინი ჯერჯერობით თავს არ დაგვესხმიან.

ნ. ს. ხრუშჩოვი. სწორია.

კარლოს ფრანკი. ნე მინდა, რომ თქვენ სწორად გამიგოთ, — რომ კარგი იქნებოდა, მუქარა რომ არ არსებობდეს.

ნ. ს. ხრუშჩოვი. დიახ.

კარლოს ფრანკი. მაგრამ თუ ამ მუქარას ადგილი ექნა, ამ მუქარის რეალიზაციას თავისი ადგილი ექნა, ვფიქრობ, რომ ამისათვის რაკეტები საკმაოდ მომზადებულია?

ნ. ს. ხრუშჩოვი. უდავოა. თქვენ სწორად გესმით. კარგია, თუ აგრესია არ იქნა და ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ არ გავუშვათ საბრძოლო რაკეტები, იმიტომ რომ მთავარია არა ადამიანების მოსპობა, არამედ ადამიანების სიცოცხლე, ცხოვრების აყვავება.

კარლოს ფრანკი. როგორც თქვენ ფიდელ კასტროს მოხსენებიდან იცით, ჩვენი ხალხი მუდამ მზად არის მოიგერიოს ყოველი შეიარაღებული აგრესია. მაგრამ მე მინდა ვთქვა ისიც, რომ ჩვენს ხალხს კარგად ესმის მშვიდობისათვის იმ ბრძოლის მთელი მნიშვნელობა, რომელიც ახლა მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობით. და ჩვენ, კუბელებს, კარგად გვესმის მთელი შესაძლებლობანი, მთელი ის პროგრესი, რაც მოაქვს მშვიდობას მთელი კაცობრიობისათვის.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ უზრუნველყოთ მტკიცე მშვიდობა დედამიწაზე. მაგრამ, მეორე მხრივ, იმისათვის ვემზადებით, რომ, თუ აგრესორებმა თავს მოგვახვიეს ომი, გავანადგუროთ აგრესორები.

კარლოს ფრანკი. შემდეგი კითხვა, რომელიც მქონდა, ვფიქრობ, თითქმის მიპასუხეთ მასზე, ეს არის კითხვა მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის სამართლიან ბრძოლაში საბჭოთა კავშირის გამარჯვების პერსპექტივისა და შესაძლებლობის შესახებ.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რომ შევინარჩუნოთ და განვამტკიცოთ მშვიდობა მთელ მსოფლიოში, რომ თავიდან ავიცილოთ ახალი მსოფლიო ომი. მაგრამ ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტა შეიძლება იმ პირობით, თუ მშვიდობისათვის იბრძოლებს არა ერთი ქვეყანა და არა ქვეყნების ჯგუფი, არამედ იბრძოლებენ ყველა ქვეყნის ხალხები. თუ მშვიდობის შენარჩუნებისათვის იბრძოლებენ მხოლოდ საბჭოთა კავშირის ხალხები, სოციალისტური ქვეყნების ხალხები, ხოლო ამერიკის, საფრანგეთისა და ინგლისის ხალხები არ გამოიჩენენ ჯეროვან შეუპოვრობასა და სიმტკიცეს მშვიდობის უზრუნველყოფისათვის ბრძოლაში, ამან შეიძლება ხელფეხი გაუხსნას ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის მილიტარისტებს ახალი ომის მომზადებასა და გაჩაღებაში. ხალხებმა ხელფეხი უნდა შეუკრან იმპერიალისტებს, ავანტიურისტებს, დამამშვიდებელი პერანგი ჩააცვან ახალი ომის მოყვარულთ, ამიტომ ღონისძიებები მიმართულ უნდა იქნას მშვიდობის უზრუნველყოფისაკენ ყველა ხალხისათვის, როგორც დიდი, ისე პატარა ხალხებისათვის. მხოლოდ ამ პირობით შეიძლება მშვიდობის უზრუნველყოფა დედამიწაზე.

კარლოს ფრანკი. უკანასკნელი კითხვა. რა გსურთ გადასცეთ კუბელ ხალხს?

ნ. ს. ხრუშჩოვი. მე მსურს კუბელ ხალხს გადავცე საუკეთესო სურვილები რევოლუციის მონაპოვრათა განმტკიცებისათვის ბრძოლაში, იმ საგარეო და საშინაო საფრთხეთა წინაშე თავისი რიგების შეკავშირებაში, რომლებიც ჩნდება მშრომელი ხალხის გამარჯვების შემდეგ. კუბელი ხალხის მტრების ძალები მცირე როდია, და მათ იარაღი როდი დაუყრიათ. ამიტომ საჭიროა სიფრთხილე, ორგანიზებულობა, შეკავშირება რევოლუციურ ხელმძღვანელთა გარშემო, რევოლუციური მთავრობის გარშემო, რომელსაც სათავეში უდგას კუბელი ხალხის ისეთი შესანიშნავი შვილი, როგორიც ფიდელ კასტროა.

გადაეცით კუბელებს ჩემი მისალმების სიტყვები და მეგობრული სურვილები: ჩვენ ვუსურვებთ კუბას გამარჯვებას და წარმატებებს. თუ კუბელი ხალხი ფიდელ კასტროს ხელმძღვანელობით გამოიჩენს სიმტკიცესა და ორგანიზებულობას მტრის მუქარის წინაშე, იგი დასძლევს სიძნელეებს და მიაღწევს გამარჯვებას ისევე, როგორც მიაღწია გამარჯვებას თავისი მტრების წინააღმდეგ მეიარაღებულ ბრძოლაში, მიაღწევს წარმატებას ახალი ცხოვრების, თავისუფალი და იმპერიალისტებისაგან დამოუკიდებელი ცხოვრების მშენებლობაში.

გთხოვთ გადასცეთ ჩემი კეთილი სურვილები ფიდელ კასტროს და მის თანამებრძოლებს. მე დამრჩა საუკეთესო მოგონებანი იმ შეხვედრებსა და საუბრებზე, რომლებიც მასთან ნიუ-იორკში მქონდა. მისი წარმატებანი. კუბელი ხალხის წარმატებანია, კუბელი ხალხის წარმატებანი ფიდელ კასტროს წარმატებანია. ვიმეორებ, თუ კუბელი ხალხი შეკავშირებული და ერთიანი იქნება გამარჯვებისადმი მისწრაფებაში, გამარჯვება უზრუნველყოფილი იქნება. საბჭოთა ხალხების სიმპათია, ყველა პატიოსანი ადამიანის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა სიმპათია კუბელი ხალხის მხარეზეა დამოუკიდებლობის, თავისუფლებისა და აყვავებისათვის მის ბრძოლაში.

კარლოს ფრანკი. მინდა ერთხელ კიდევ მოგახსენოთ მადლობა თქვენი თავაზიანი პასუხისათვის და გთხოვოთ მომიტევოთ კითხვების ის გრძელი სია, რომელიც თქვენ მოგეცით. ჩვენდა უნებურად, ჩვენ გავხდით „დიქტატორები“, რომლებიც თავიანთ ნებას „გიკარნახებდნენ“. სამწუხაროდ, პრესა ყოველთვის დიქტატორია.

აგრეთვე მინდა გითხრათ კიდევ, რომ ჩვენ საბჭოთა კავშირში 20 დღე გავატარეთ. ჩვენ საუკეთესო, უაღრესად შესანიშნავი მთაბეჭდილებანი გვაქვს საბჭოთა კავშირზე. ჩვენ საქმით, პრაქტიკით გავიგეთ და ვიგრძენით, თუ რა მისცა რევოლუციამ საბჭოთა ხალხს. ჩვენ ვნახეთ, რომ საბჭოთა ხალხი ბედნიერია, ვნახეთ, რა დიდი გულწრფელი სიყვარულით არის იგი გამსჭვალული მშვიდობისადმი. და ჩვენს სიცოცხლეში პირველად ვიყავით სამყაროში, სადაც თვითეული ადამიანი თავს ბედნიერად გრძნობს, სადაც არ არის ადამიანთა მხეცური ბრძოლა ერთმანეთის წინააღმდეგ. ჩვენ აქ ვნახეთ ურთიერთ თანამშრომლობის, მხარდაჭერისა და დახმარების საყოველთაო სულისკვეთება. და ახლა ჩემს უმთავრეს ამოცანად მიმაჩნია ვუამბო ფიდელ კასტროს ყოველივე იმის შესახებ, რაც ვნახეთ, ვუთხრა, რომ იგი რაც შეიძლება მალე ჩამოვიდეს საბჭოთა კავშირში.

ნ. ს. ხრუშჩოვი. მოხარული ვიქნებით შეგხვდეთ მას. ეს ძალიან კარგი იქნება. ერთხელ კიდევ გთხოვთ გადასცეთ ჩემი სალამი და საუკეთესო სურვილები ფიდელ კასტროს და კუბელ ხალხს.

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა —

კოლმეურნეობის თავმჯდომარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

არალი! არის ასეთი ძველი მესხური სოფელი ადიგენის რაიონში. მხოლოდ მოგონებებში, ხალხურ თქმულებებში თუ ცოცხლობენ ამ სოფლის ავბედითი წარსულის, ადამიანების „ცვარებით ლეწვის“, ხოცა-ჟლეტის შემზარავი სურათები.

ახლა მესხეთში სულ სხვა ნიავი ჰკრავს, დღეს და მჩქეფარებს თავისუფალი ცხოვრება. ისევე, როგორც ყველგან — ჩვენს ქვეყანაში, — არალშიც მძლავრად იგრძნობა შვიდწლედის ძლევამოსილი მაჯისცემა.

დილის მზის სხივები მდინარე ქობლიანისა და აბასთუმნის ხეობაში იღვრებოდა, როცა სოფლის დასათვალიერებლად გამოვედით. სოფლის გულში უზარმაზარი მშენებლობა წამოწყებულ ყოთ.

— აქ საკოლმეურნეო კლუბ-კინოთეატრს ვაგებთ, — გვითხრა პარტბიუროს მდივანმა ივანე აფრიამაშვილმა, — მშენებლობაზე, რომელიც წელს დამთავრდება, მილიონნახევარი მანეთი დაიხარჯება.

— წინათ სოფელში, — ჩაერია საუბარში მეძროხეობის ფერმის გამგე ივანე კაკაჩიშვილი, — არცერთი ორსართულიანი სახლი არ იყო, უკანასკნელ სამ წელიწადში კი სამასზე მეტმა კოლმეურნემ აიშენა ახალი სახლი. ამასწინათ ავაგეთ მძლავრი წყალსადენი, რაღიოკა გვაქვს და სინათლეც, სარწყავი წყალიც გამოვიყვანეთ.

მთის ფერდობზე მეძროხეობის კეთილმოწყობილი ფერმაა. თვალში გვეცა სანმეშო სისუფთავე. ფერმის გამგემ მოწინავე მწველავი, შრომის წოდელი დროშის ორდენსანი ნინო ვარდიძე გაგაცანო. 54 წლისაა ნინო, მაგრამ კვლავ ახალგაზრდული ენერგიით შრომობს. მან გასულ წელს ერთ ძროხაზე 3.200 კილოგრამი რძე მოწველა, წელს კი 3.700 კილოგრამის მიღებისათვის იბრძვის.

ფერმაში 1.100-მდე მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი ჰყავთ, მათ შორის 210 სულ ძროხას ითვლიან. არც პირუტყვის ჯიშობრივ გაუმჯობესებას ივიწყებენ არალელები. ორ წელიწადში აქ მთლიანად ჯიშიანი პირუტყვი ეყოლებათ.

მესხური ხელი სუფრის შნო და ლაზათია. არალელებს უყვართ სოფლის მეურნეობის უძველესი დარგი — მებაღეობა. უყვართ და თავდადებულად იბრძვიან მისი განვითარებისათვის, სიტაცეისათვის.

პირველად სიმონ აფრიამაშვილის მებაღეობის ბრიგადაში მოვხვდით. კოლმეურნეები ხილის კრეფაზე მუშაობდნენ.

— შარშანწინ მეხილეობიდან 1.500 ათასი მანეთი მივიღეთ, შარშან კი უფრო ნაკლები, — გვითხრა ბრიგადრმა.

— მეწლეობა გვიშლის ხელს, — ჩაერია საუბარში პარტბიუროს მდივანი, — მისი აღმოფხვრისათვის სერიოზული მუშაობა დაგეგეგმილია.

ასევე იქცევიან არალელები. მათ წელს 82 ჰექტარ მსხმოიარე ბაღს 17 ჰექტარი ახალი ბაღი მიუმატეს, შემოდგომაზე 7 ჰექტარს გააშენებენ, სრულიად აღმოფხვრიან მეჩხერიანობას, მეწლეობას. მოვლილი, დახუნძლული ბაღები კოლმეურნეთა იმედს ამართლებენ, ჰექტარზე საშუალოდ კრეფენ 80 ცენტნერ ხილს, მეხილეობიდან მიღებული ფულადი შემოსავალი წელს 2 მილიონ მანეთს მიაღწევს.

გაგიკვირდებათ, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარეზე არაფერი გვითქვამს. ება, მასზეა თუა საუბარი...

— ჩვენი სტეფანე მალე დისერტაციას დაიცავს, — სიამაყით ამბობენ არალელები.

წინათ წერა-კითხვის მცოდნეზე თუ იტყოდნენ ასეთი აღფრთოვანებით, დღეს კი დისერტაციაზეა ლაპარაკი...

სტეფანე კაკაჩიშვილმა წარმოებისაგან მოუწყვეტლად დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ასპირანტურა მებოსტნეობის ხაზით. 1957 წელს იგი თანასოფელებმა კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს. ასეთმა დატვირთვამ როდი შეაფერხა, პირიქით, ნიჭიერი ხელმძღვანელის სახელი გათქვა, უფრო ენერგიულად გაზგარძო სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა.

აქვე დაგვირგვინდა მისი მრავალი წლის კვლევითი მუშაობა მესხური თეთრთავიანი კომბოსტოს შესწავლაზე. ამ ჯაშის სრულყოფამ, საწარმოო გამოცდამ, შესაბამისი აგროტექნიკის შემუშავებამ ის შედეგი გამოიღო, რომ [illegible] 13-15 [illegible] ბოლო [illegible] ბოლო [illegible] 22-23 კილოგრამს აწონის. შარშან საექსპერიმენტო მოსავლიანობამ 450 ცენტნერი შეადგინა, წელს კი 7 ჰექტარიდან თვითეულზე 500-მდე ცენტნერ კომბოსტოს მიიღებენ.

თავმჯდომარეს უკვე მზადა აქვს სადისერტაციო შრომა — „მესხური თეთრთავიანი კომბოსტოს ბიოლოგიური თავისებურება და მისი აგროტექნიკა ახალციხე-ადიგენის პირობებისათვის“.

თავის თავზე სიტყვაძუნწია სტეფანე კაკაჩიშვილი. სამაგიეროდ თავისუფლად გესაუბრებათ სოფელზე, კოლმეურნეობაზე, მის უკეთეს მომავალზე.

— წელს, — სიამაყით ამბობს სტეფანე, — 90 ახალი საცხოვრებელი სახლი შეემატება სოფელს, ავადგებთ დამბარე საწყობებს, სახერხ ქარხანას, ელექტროწისქვილს, პირუტყვის ყველა ბინას კულტურულად მოვაწყობთ.

არა, ოდნავადაც არ ჰგავს წარსულს არალელი გლეხის ცხოვრება. მესხეთში განახლების ნიაღვარი ჩამდგარა. ამ სიახლეს უმღერიან მარად უცვლელნი მთები მაღალნი. ახალ ცხოვრებას მეტ ლაზათს ჰმატებს შრომისმოყვარე არალელი გლეხის მტკიცე გული და გამარჯვ მარჯვენა.

ჯ. ხვადაძე.

მესანგრეთა სიმამაცე

ბრესტი, 31 ოქტომბერი. (საკდესი). ბრესტის რაიონის სოფელ პუგაჩოვოს ერთ-ერთ ეზოში სამშენებლო მუშაობის დროს ალმოაჩინეს უუმბარების საწყობი, რომლებიც ჰიტლერელ ჯარებს ჩაუფლიათ მიწაში უკან დახევის დროს. ადგილობრივ მოსახლეობას მოელოდა ხიფათი.

ძნელი და როული სამუშაოს ხელმძღვანელობა დაავალეს უფროს ლეიტენანტ პ. ნ. ბოგდანს. როცა მან უთხრა მეომრებს თუ რა უნდა გაეკეთებინათ, ამ საქმეში მონაწილეობის სურვილი ბევრმა მოხალისემ გამოთქვა. გარნიკ მადოიანს რამდენიმე დღე დარჩენოდა თადარიგში წასვლამდე. მაგრამ პატრიოტმა მეომარმა ერთმა პირველთაგანმა გამოთქვა სურვილი მიეღო მონაწილეობა სახიფათო დავალების შესრულებაში. მეთაურმა მოხალისეებში შეარჩია ყველაზე ღრსეულნი და გამოცდილნი: კომუნისტი ეფრეიტორი ივანე პუშკოვი, კომკავშირელი ჯარისკაცი ანატოლი შოტინი და გარნიკ მადოიანი.

ოფიცრის ხელმძღვანელობით მესანგრენი ზედიზედ თხრიდნენ მიწის შრეებს, რომელიც ფარავდა უუმბარებს. მათ მუშაობა უხდებოდათ დაჩოქილებს, ქვაბებში წყალი ჩადიოდა. მძიმე 122 მილიმეტრიანი უუმბარები ხელით ამოკრეფდათ ორმოდან მეომრებს და აწყობდნენ მანქანაში. ორი დღეკამის განმავლობაში უფროს ლეიტენანტ პ. ნ. ბოგდანის მესანგრეებმა გაუუნებლეს საწყობი, რომელშიც 400-მდე მძიმე უუმბარა ეწყო. კოლმეურნეებმა მხურვალე მადლობა გადაუხადეს მამაც მეომრებს.

საიუბილეო სესიაზე ერევანში

ერევანი, 30 ოქტომბერი. (საკდესი). აქ დამთავრდა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და ამერკავკასიის სამი რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიების გაერთიანებული სესია, რომელიც გაგრძელდა ხუთ დღეს. ის მიეძღვნა საბჭოთა სომხეთის 40 წლისთავს. სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ა. ნ. ნესმეიანოვი, პრეზიდენტები: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა — ნ. ი. მუსხელიშვილი, აზერბაიჯანისა — ი. გ. მამედალიევი, ლიტვისა — ი. ი. მატულისი, მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ვილნიუსის, რიგის, ტალინის, აშხაბადისა და ჩვენი ქვეყნის სხვა სამეცნიერო ცენტრების თვალსაჩინო მეცნიერები.

სესიამ განიხილა დაახლოებით 150 მოხსენება ფიზიკისა და ასტრონომიის, მათემატიკისა და მექანიკის, გეოლოგიისა და ქიმიის, ბიოლოგიის, აგრეთვე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა საკითხებზე.

ცოცხალი მაჯიანე

ვ ე ტ ყ ვ ი თ: თუ თქვენ არ გინახავთ **ბაბალე პაპუნაშვილი,** დაგიკარგავთ მშვენიერი შემთხვევა მოგესმინოთ მისი ტკბილი ქართული. ეს მოხუცი ქალი შთაგონებით ჰყვება თავისი რევოლუციური წარსულის ამბებს. მაშ სიტყვა მოგცეთ თვითონ ბაბალეს.

— ჩემი ცხოვრება მრავალთა ცხოვრების მსგავსია. ჩემ მიერ გავლილი გზა ისეთია, როგორიც ბევრმა გაიარა. დაბადავ ცხრაამეულს ხეობის სოფელ დაბაჯნეთის მიყრუებულ უბანში — ბაშართში. დედაჩემი მართა გრიელი ბეთლუნის ქალი იყო. მამაჩემი სოლომონ ბაშარული მთელ ხეობაში განთქმულ მეცხვარედ ითვლებოდა. ძალიან ჰყვარებია ცხვარი ყოფნა.

ახლაც მახსოვს, რა ძალიან გვიზიდავდა დაბაჯნეთის ქედები ჩემს და-ძმას ნინოს, მარიამს, ვანოს... ღარიბები ვიყავით, ხშირად ფეხშიშველნი დავტანტალებდით ეზო-გარემოში.

ადრე დავობლდით. ათი წლისა ვიყავი, როცა მეზობლებმა ჩემი დედ-მამა დაბაჯნეთის მიწას მიაბარეს.

წლებმა სადღაც წარიტაცეს ჩვენი ყმაწვილური გულუბრყვილო ბატაცებანი. ჩვენი ძმა ვანო მოჯამაგირედ გაეგზავნა მოზდოკის მხარეს ივანოვკაში. ნინო და მარო გათხოვდნენ ჩიტიანში. მე კი მაშინდელ ახალგორში ჩამომიყვანეს და ერთ ვაჭართან დამაყენეს მოახლედ.

ასე ჩაქრა ბაშარულთა თბილი კერა და, შვილო, ნუ მეტყვი, ცრემლი რა რევოლუციონერის სქმეკო. მახლობელი და მშობლიური კერის მოგონება უცვლელად არ იქნება. და ეს სისუსტე როდია.

თითქმის ცხრა წელიწადს ვიმოახლე ახალგორში. მოახლის ცხოვრება ამბა, რა ცხოვრებაა. რა გაჭირვება არ გადავიტანე. მაგრამ ადამიანური ღირსება შეენარჩუნე. ბატიოსნება დავიცავი, ლეჩაქი არ შემრცხვენია. ახლოვდებოდა 1905 წელი. ახალთაობის მოგუგუნე ხმა ქსნის ხეობაშიც დირხა და ჩემი გული რაღაც ცეცხლით ანთო.

იმ ხანებში მეცხრამეტე წელში გაღაჯდეკი. რადაც დიადი ხდებოდა ჩემში. შინ ვერ ვიტეოდი, ხალხში ყოფნა მინდოდა. ხალხი კი ღელავდა. არსებული წყობილების, უმეყოფილო მასების ერთდებოდნენ და მთების განახლებაზე ფიქრობდნენ. მეც მათს რიგებს შევერიე.

გუშინდელი დღესავით მახსოვს, რაც მოხდა ახალგორში 1905 წლის მარტში. იგრიალა ქსნის ხეობის მშრომელმა მასამ. ყოველი მხრიდან შემოდიოდა ხალხი ახალგორში, ყინავდა, ცივი ქარი ქროდა.

ციხე-გალავანთან გაიმართა ათასხუთასიანი მიტინგი, თითქოს ორი დღის წინ ყოფილიყოს, ისე ნათლად მახსოვს მაშინდელი ქარ-ცივცლი. მიტინგზე აფრიალეს წითელი დროშები. ორატორები რევოლუციურ სიტყვებს ამბობდნენ, ათას ხუთასი ანთებული გული გუგუნებდა: „ერთობა, თავისუფლება!“

მეც ვიყავი მიტინგზე. მოვისმინე სიტყვები, რომლებიც თავისუფლებისათვის საბრძოლველად მოგვიწოდებდა. ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ მიტინგის მოწყობის მოთაკვენი, რევოლუციონერი ლეხები, ნიკო პაპუნაშვილი მისმა შვილმა მიხა პაპუნაშვილმა შეცვალა. მიხას მანამდეც ვიცნობდი, მაგრამ ახლა, ხალხის წინაშე მეტყველი, უფრო მგზნებარე მეჩვენა. მე ის ავირჩიე ჩემი ცხოვრების თანამგზავრად.

1905 წელს ჩვენ დაკქორწინდით. ეცხოვრობდა ქალმო ბოლში, სოფლის ბეჭა, კოდისტეკის ნაპირას. ჩვენს ქოხში შეერთდა ჩვენი აზრები, გული და გონება.

მამა-შვილი გატაცებული იყო თავისუფლებისათვის ბრძოლით, მეც ამათ გამიტაცეს, ჩამაბეს რევოლუციურ მუშაობაში. ხშირად ვამოწმილეობდი პროკლამაციების გავრცელებაში. ამ მგზნებარე მოწოდებებს ხალხი ისე ეტანებოდა, როგორც დაჭრილი ირემი მიეტანება ხოლმე წყაროს. ვკვეთნიდნენ, ვგიოცალთვალებდნენ, ვგვიწრობდნენ, ვგიოცალებდნენ, ვგვიწრობდნენ, მაგრამ საბალხო რევოლუციის საქმეს რომ ვაკეთებდით, ბედნიერნი ვიყავით. მალე შეგვეძინა ერთი გოგონა. დარო დავარქვით (ჩემი დარო ახლა თბილისში ცხოვრობს, შვილებიცა ჰყავს და შვილიშვილებიც).

შეისვენა ბაბალემ და სახეზე საამო ღიმი დაეფინა. იქნებ იმიტომ, რომ ქარიშხლიანი წლების მოგონებიდან უცებ დღევანდელობაზე შეუჩერდა გრძნობა და ფიქრი, მშვიდობიან დღევანდელობაზე: მისი შვილი და შვილიშვილები თბილისის ლამაზი ციხქვეშ ხარობენ. ბაბალე ბამორობით მათთან არის, ზაფხულობით კი ბოლში, სადაც ასე ძვირფასია მისთვის ყოველი მტკაველი მიწა, ხეხილის ნერგი, ვაზის ძირი, ტაეკ, აყვავებული ველმინდვრები, კეთილი მეზობლები, მიხასეული სახლეარი.

— 1906 წელს მამა-შვილი ნიკო და მიხა რევოლუციური მუშაობისათვის დაპატიმრეს და დუშეთის ციხეში გამამწყვდიეს. დაკრჩი მარტოდმარტო ბოლში ჩემი პატარა გოგონათი. პირველ ხანებში დავიბენი, არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი, მაგრამ შემდეგ გონება მოვიკრიბე, მიხას ამხანაგებმაც გამამხნევეს და კვლავ ჩავები თავისუფლებისათვის ბრძოლის ფეიხულში.

ლ აპატიმრეებიდან ერთი წლის შემდეგ ჩემი მამამთილი ნიკო საპატიმროში გარდაიცვალა. მიხა კი სარატოვში გადაასახლეს 12 წლით. ეს იყო 1908 წელს.

ჩვალების წლები თითქოს ეკლიან მათრახს გვცემდა მეც და ჩემს გოგონასაც, მაგრამ უფრო გავკაჟდი. მახსოვდა მიხასთვის მიცემული ფიცი, რისთვისაც არ მიღალატნია. არ გავტყდი, არალეგალურ დავალებებს ვასრულებდი, გოგონას ვზრდიდი.

რევოლუციონერებთან კავშირი არ გამიწყვეტია. ქვემო ბოლში მიხა პაპუნაშვილის სახლი პროპაგანდის ცენტრია, — ზედიზედ მაბიზღებდა ერთი გამცემი. სხვადასხვა დროს ჩვენი სახლი შვიდჯერ გაჩხრიკეს და ბოლოს ჩემი ბავშვიანად გამასახლეს ხასავ-იურტში (დაღესტანი). ეს იყო 1915 წელს. მძიმე და ძნელი იყო ჩემი. გზა. მივდიოდი გადასახლებაში. ეტოვებდი ქვემო ბოლს, საყვარელ ქოხს, რომელთანაც მაკავშირებდა ბრძოლაში ნაწრთობი მეგობრობა მიხასთან.

ო, ის დაუყვეღელი დრო... დარიალს რომ გავცდი, გამახსენდა მიხა, რომელიც შორეულ სარატოვის ციხეში იყო გამოწყვდეული. თვალწინ მედგნენ ქსნის ხეობის დაღრეკილი მთები, გადაფუყეტი ბრძოლისათვის რომ ემზადებოდნენ. ხასავ-იურტში გასახლებული ფოთოლად ვიქცეოდი... შემდეგ, იქაც ჩავები რევოლუციურ მუშაობაში. მოვახერხე და მიხას გაცნობე მისამართი...

1917 წლის თებერვლის რევოლუციას მე ხასავ-იურტში შევხვდი, ხოლო მიხა პაპუნაშვილი — სარატოვის ციხეში, საიდანაც ის რევოლუციის შედეგად განთავისუფლდა.

იმავე წლის მაისში არაჩვეულებრივი სიხარული განვიცადე, რადგან მიხა ხასავ-იურტში ჩამოვიდა. მე ის ვნახე უფრო დაკეკაცებული, იდეური მებრძოლი, გამოწრთობილი, რომლის მთავარი მიზანი იყო განეგრძო ბრძოლა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის. მალე ბოლში ჩამოვედით. თანასოფლელებმა გულითადად მიგვიღეს. მიხამ დაწერილებით გამომკითხა, რას კეთებდი, როგორ ვმონაწილეობდი ბრძოლის პროკლამაციების გავრცელებაში. ჩემი ნაამბობით კმაყოფილი დარჩა.

1917 წელს მამიკეს სკკპ წევრად — ეს ყველაზე მნიშვნელოვანი მოკლენაა ჩემს ცხოვრებაში.

ზ ა ფ ხ ე ლ ე ბ ი ს ა ს დუშეთის მაზრის ბოლშევიკთა კონფერენცია ალალგალურად იკრიბება თბილისში თედო შუშიაშვილის „ფოტოგრაფიაში“. მონაწილეობენ მიხა ცხაკაია და ფილიპე მახარაძე. კონფერენცია დუშეთის მაზრაში ადგილებზე დასახმარებლად გზავნის თედო შუშიაშვილს და მიხა პაპუნაშვილს.

1918 წლის აპრილი: ბაზალეთის გლეხთა კრებაზე მიხა პაპუნაშვილი სიტყვას ამბობს შეიარაღებული აჯანყების მოთხოვნით. იმართება გლეხთა კრებები. იქმნება შეიარაღებული რაზმები. შეგროვდა ჯეროვანი იარაღი. გრცელდება პროკლამაციები. ამ სამმის სათავეში არიან თედო შუშიაშვილი და მიხა პაპუნაშვილი.

1918 წლის 14 ივნისი. დაიწყო დუშეთის აჯანყება წოლკან-მისქიელში მენშევიკური რაზმები განადგურდნენ. შეიქმნა სამხედრო-რევოლუციური შტაბი მიხა პაპუნაშვილის ხელმძღვანელობით. 19 ივნისს დუშეთში ცხადდება საბჭოთა ხელისუფლება. გაიშალა ბრძოლა დარიალისათვის. 21 ივნისს მიხას რაზმი იკავებს სნოს. მენშევიკებმა მახეილი აღმართეს დუშეთის აჯანყების ჩასახშობად. აჯანყებულთა უკანდახევა ფასანაურისაკენ. ფასანაურ-ძლეთის სისხლიანი ბრძოლები. აჯანყებულთა დამარცხება...

ბაბალე გვიამბობს... 1918 წლის 15 ივლისს მიხა და მისი მებრძოლი ამხანაგები მენშევიკმა ჯალათებმა გაიფთრებულ ბრძოლაში შეიპყრეს დარიალის ციხე-სიმაგრესთან (თამარის ციხესთან). და იქვე დახვრიტეს. შხამიანი გველი მისწვდა თავისუფლებისათვის საბრძოლველად ანთებულ გულს! მიხა ბრძოლის ველზე დაეცა. 38 წლის ასაკში, მიხას დაღუპვამ შემაშფოთა. მაგრამ მე, რევოლუციონერ ქალს, ამავე დროს ერთადერთი შვილის დედას, უფლება არ მქონდა მხოლოდ ცრემლი მეღვარა. თავისუფლებისათვის მებრძოლთა რიგებში ჩემი ყოფნა საუკეთესო საშუალება იყო მიხას სხოვნის უკვდავსაყოფად. და მე დავრჩი არალეგალურად მომუშაკეთა შორის. პარტიის ყველა დავალებას უყოყმანოდ ვასრულებდი.

ხ ა ნ დ ა ხ ა ნ იყო ჩავარდნები. მქონდა ტყვეობები და თვალში ჩამეყენებდა სიკვდილი არა მარტო მე. მაგრამ გავუძელით ქარიშხლიან წლებს. მოგვესწარით საქართველოში ოქტომბრის დროშის აფრიალებას.

ახალი საქართველოს შენება ძალების უდიდეს ძაბვას მოითხოვდა. აქტიურობა და კიდევ აქტიურობა — აი ყოველი კომუნისტის უპირველესი მოვალეობა. ახლა სიამაყით ვიგონებ, რომ ერთერთი პირველი ჩამრიცხეს დუშეთის საბაზრო კომიტეტის პ

 კომუნისტი
ტფილისი

ასე დამთავრდა დასკვნითი მატჩი

მოსკოვი, 31 ოქტომბერი. (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). თითქმის ორი წელია ამ დღეს ელოდნენ ფეხბურთის მოყვარულები. დიდხანს გრძელდებოდა სსრ კავშირის თასის გათამაშება ფეხბურთში, ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი, საინტერესო და მძაფრი ასპარეზობა.

და აი ეს დღეც — 31 ოქტომბერი. ამინდი კარგს არაფერს გვპირდებოდა. ბევრი საშუშაო ქონდათ სტადიონის მუშაკებს. საჭირო იყო როგორმე მოედნის მშრალად შენარჩუნება. ამისათვის მათ წინა დღეს მოედანი მთლიანად გადახურეს. ამან სასურველი შედეგი გამოიღო. შესაძლო გახდა მატჩის ჩატარება ნორმალურ პირობებში.

სსრ კავშირის თასი დადგმულია მოქანზე. მას საპატიო გუშაგები უდგანან. სტადიონზე შეჯიბრების დაწყებამდე აინთო პროჟექტორები. გამოჩნდნენ მსაჯი მ. ცაპოვეცკი და თასისათვის მებრძოლი გუნდები. შემადგენლობა ასეთი იყო: **მოსკოვის „ტორპედო“** — პოლიკანოვი, მედაკინი, შუსტიკოვი, ოსტროვსკი, ეორონინი, მანოშინი, მეტრეველი, ივანოვი, გუსაროვი, ბატანოვი, სერგეევი, (სავუშკინი). **თბილისის „დინამო“** — კოტრიკაძე, სიჯინავა, თორაძე, ხოგლავა, ზეინკლიშვილი, ჩოხელი, მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, იამანიძე, მესხი.

წამზომები ჩართეს. პირველი წუთიდანვე ცხადი გახდა, რომ ბრძოლა უჩვეულო იქნებოდა. დასაწყისში იგი ტორპედოელთა მცირეოდენი უპირატესობით წარიმართა. გუსაროვი და ივანოვი იცავლიდნენ ადგილებს, ხოლო მეტრეველი აქტიურობდა მარჯვენა ფრთიდან. დინამოელებმა თამაშის აწყობა ერთხანს ვერ მოახერხეს. თამაშის მე-25 წუთია. ბურთზე ხელით შეხებისათვის ხოჭოლავა დაჯარიმეს. თბილისელთა კართან დაინიშნა თერმომეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა და გუსაროვმა ანგარიში გახსნა.

მალე აიწყო თბილისელთა ანსამბლი. პირველი რიგში ეს იგრძნობოდა თავდამსხმელთა ხუთეულში და ნახევარმცველებში. დაიწყო იერიშები ჩემპიონის კართან. თითქოს მომწიფთა გოლის საკითხი და აი ესეც... 26-ე წუთზე გათამაშდა კარგი კომბინაცია, ბარქაია ოსტატურად შეიჭრა საჯარიმო მოედანზე და ძნელი მდგომარეობიდან საპასუხო ბურთი გაიტანა.

აქედან იწყება ძირითადი გარდატეხა თბილისელთა თამაშში. მაყურებლები დინამოელებს ერთსულოვან ოვაციას უმართავენ. არა ერთი შესანიშნავი მომენტი, ბურთის გატანის რეალური შესაძლებლობა შეიქმნა ჩემპიონის კართან, მაგრამ მიზანი მიუღწეველი აღმოჩნდა. ტორპედოელები დაცვაში თავგამოდებით იბრძოდნენ, განსაკუთრებით ბეკრს მუშაობდნენ ნახევარ-მცველები ეორონინი და მანოშინი, აგრეთვე მცველები: შუსტიკოვი და მედაკინი. 35-ე წუთზე მოსკოველთა კარი ღიათ დარჩა. ბარქაიამ ვერ გამოიყენა ეს მომენტი, ხოლო შემდეგ კალოევმა ხელიდან გაუშვა ანგარიშის გაზრდის რეალური შესაძლებლობა.

პირველი ტაიმი დამთავრდა. ფეხბურთელები დასასვენებლად წავიდნენ.

აი მეორე ტაიმიც. ბრძოლა ახალი ძალით გაჩაღდა. მე-8 წუთია. ტორპედოელებმა არც თუ ისე რთული კომბინაციის შემდეგ, წინ გაიყვანეს გუსაროვი, რომელიც აშკარა თამაშგარე მდგომარეობაში იყო. მაგრამ არ გაისმა მსაჯის სასტვენის ხმა და ტორპედოელებს ისღა დარჩათ, რომ მეკარის პირისპირ მდგომთ გოლი გაეტანათ.

დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, და თბილისელებს ახალი წარმატება მიეულოცეს. მარცხენა ფრთიდან მესხის კომბინაციის შემდეგ კალოევის ოსტატური დარტყმა და ანგარიში გახდა 2:2.

როგორც სჩანს, შესვენების შემდეგ ტორპედოელებმა მიიღეს მწვრთნელის დავალება, რომ უფრო ახლოს, პირისპირ ეთამაშნათ ბარქაიასთან, ხოლო მესხთან ორი კაცი ყოფილიყო მიმაგრებული. პირველად ეს ტორპედოელებს გაუძნელდათ. მესხი მაინც ადვილად გადიოდა მედაკინთან და ეორონინთან ორთაბრძოლაში.

შემდეგ წუთებში მასპინძლები გააქტიურდნენ. მარჯვენა ფრთიდან მეტრეველი და ივანოვი განუწყვეტლივ შტურმზე გადიოდნენ. მათი ერთერთი კომბინაცია ივანოვის დარტყმით, გოლით დაგვირგვინდა. ინიციატივა ხელთ იგდეს ტორპედოელებმა, მაგრამ, როცა თამაშის დამთავრებას აკლდა ოთხი წუთი, მოწინააღმდეგის კარის წინ შექმნილ ორომტრიალში მელაშვილმა შესძლო მესამე ბურთის გატანა. ძირითადი დრო ამოიწურა. ანგარიში გახდა 3:3.

დაინიშნა დამატებითი დრო — ორი 15 წუთიანი ტაიმი. დინამოელები პირველ წუთებიდანვე მოეკიდნენ ბურთს. ტორპედოელთა კარის ახლოს რეალური ხდებოდა. სულ ტერო იზრდებოდა [illegible] მომენტი: [illegible] ივანოვი, გოლი [illegible] მდეგ მიწაზე დაანარცხეს. აქ პენალტი უეჭველი იყო. მაგრამ მსაჯი სდუმდა. უცნაურობაა! ერთი წუთის შემდეგ, ჩოხელმა დაკარგა კარის ახლოს რეალური შესაძლებლობა, ხოლო შემდეგ ორჯერ ბურთი ძელს მოხვდა და დამარცხებისაგან იხსნა ტორპედოელები.

თითქმის მიიწურა დამატებითი ტაიმებიც და მაშინ, როცა ყველა ფიქრობდა თამაშის მეორე დღისათვის გადადებაზე, თბილისელთა შეცდომით ივანოვმა ისარგებლა და შესძლო მეოთხე გადამწყვეტი ბურთის გატანა. სეზონის ეს ყველაზე საუკეთესო მატჩი დამთავრდა ტორპედოელთა გამარჯვებით, ანგარიშით 4:3. თამაშის დამთავრებისთანავე გამარჯვებულებს გადაეცათ სსრ კავშირის თასი.

დინამოელებს, თითქოს დამარცხებულებს არ დაუტოვებიათ მოედანი, მათ მოსკოველთა ტაში მიაცილებდა კარგი თამაშის ჩვენებისათვის.

ვ. გაბელია.

ᲥᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ...

გუშინ სსრ კავშირის თასზე ფინალური მატჩის დამთავრების შემდეგ ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი შეხვდა სპორტის ცნობილ ოსტატებს და სთხოვა გამოეთქვათ თავიანთი აზრი ამ თამაშის შესახებ. გაგეგებათ მათ შთაბეჭდილებებს.

ვ. გრანატკინი,

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე.

ეს მატჩი უთუოდ სეზონის საუკეთესო თამაში იყო ჩვენი ქვეყნის თასის გათამაშების ისტორიაში. ეს, როგორც ერთ-ერთი ბრწყინვალე ასპარეზობა. დინამოელებმა გვიჩვენეს შეწყობილი, კოლექტიური და კომბინაციური თამაში, შესანიშნავი ფიზიკურ-ტექნიკური მომზადება, სიმტკიცე, გამძლეობა, მაგრამ იტყვიან ხოლმე: იმარჯვებს ის, ვინც ძლიერიაო, ტორპედოელებმა მოიპოვეს თასი.

მართალია თბილისელებმა თამაში გააპროტესტეს, მაგრამ ჩვენ ამ პროტესტს არ განვიხილავთ, როგორც დაესაბუთებელს. თერთმეტმეტრიანი საჯარიმოს დანიშვნისა და თამაშის მეგზამარეობის გამორკვევაში მსაჯის გადაწყვეტილება ყოველთვის ძალაში რჩება.

მთელი მოსკოვის სპორტული საზოგადოება, ამ თამაშიან, კერძოდ დინამოელთა ბრძოლაზე, აღფრთოვანებულია.

ნ. ოზეროვი,

სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ფეხბურთის ბევრი საინტერესო მატჩის მოწმე ვართ, მინახავს სსრ კავშირის თასის გათამაშების არაერთი ფინალური შეხვედრა, მაგრამ ეს, რაც 31 ოქტომბერს ვნახე აქ, მოსკოვში, ლენინის სახელობის სტადიონზე, ჩემს მეხსიერებაში დიდხანს დარჩება.

ეს იყო ტიტანთა შერკინება, ბრძოლა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის მოსკოვის „ტორპედოსა“ და სსრ კავშირის ერთ-ერთი პოპულარული გუნდის თბილისის „დინამოს“ შორის. მე კიტყოდი, თბილისელებმა გაიკვირვეს არა მარტო სპორტის მოყვარულები, არამედ ფეხბურთის სპეციალისტებიც. ისინი შეტოქეს სჯობდნენ ბრძოლის ტაქტიკაში, კომბინაციურ თამაშში, ტემპში.

თქვენ ალბად შემეკითხებით — ხომ მაინც წააგეს თბილისის დინამოელებმა? ეს ალბათ ამდენ ფეხბურთელ ადამიანს, ამ ასეთ ბრძოლას, ასეთ ტემპერამენტს, ასეთ ენერგიას, ასეთ ტექნიკურ ოსტატობას, ასეთ ტაქტიკურ ინიციატივას, ასეთ ბრძოლისუნარიანობას, ასეთ ფიზიკურ-ტექნიკურ-ტაქტიკურ ერთიანობას, ასეთ ბრძოლისმოყვარეობას, ასეთ ენერგიულ, ასეთ ტემპერამენტიან ბრძოლას ... ეს ... ეს ... ეს

არ არის სიმშვიდე აფრიკაში

ნიუ-იორკი, 29 ოქტომბერი. (საკვლ.). 28 ოქტომბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. ა. ზორინმა გენერალური ასამბლეის XV სესიის თავმჯდომარეს ბოლენს გაუგზავნა წერილი, რომელშიც სთხოვს დაუყოვნებლივ აცნობოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებს ის, თუ რა ღონისძიებებს იღებენ გაერთიანებული ერების ორგანოები იმისათვის, რომ შესრულდეს უშიშროების საბჭოსა და გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიის გადაწყვეტილებანი კონგოს შესახებ.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურის წერილი გენერალური ასამბლეის XV სესიის თავმჯდომარისადმი

წერილში, რომელიც გავრცელებულია როგორც გენერალური ასამბლეის დოკუმენტი, ნათქვამია:

„იმასთან დაკავშირებით, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიის დღის წესრიგში შეტანილია კონგოს რესპუბლიკის მდგომარეობის საკითხი, სესიის მონაწილენი, ბუნებრივია, საჭიროებენ ამომწურავ უტყუარ ცნობებს ამ საკითხზე.

ამასთანავე სწორედ უკანასკნელ ხანს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნომ მკვეთრად შეამცირა პუბლიკაცია ოფიციალური ცნობებისა კონგოს მდგომარეობის შესახებ და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ღონისძიებათა შესახებ ამ კვეყანაში, ამასთან ბევრ ქვეყნებსა ბევრი დოკუმენტი, რომლებიც შეეხება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოსა და „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების“ სარდლობის საქმიანობას კონგოში. უურადღებას იპყრობს ის, რომ უკვე ერთ თვეზე მეტია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს არ წარმოუდგენია ანგარიში კონგოში თავისი საქმიანობის შესახებ.

კონგოს მდგომარეობის შესახებ ოფიციალური ცნობების სიმცირე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებს უკარნახებს იმის შესახებლობას, რომ ნაოფელი წარმოდგენა ჰქონდეთ იმის შესახებ, თუ სახელდობრ რა ღონისძიებებს იღებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აღმასრულებელი ორგანოები იმისათვის, რომ შესრულდეს უშიშროების საბჭოს ამა წლის 14 და 22 ივლისის, აგრეთვე 9 აგვისტოს გადაწყვეტილებანი. ისევე როგორც გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიის გადაწყვეტილებანი კონგოს შესახებ.

მეორე მხრივ, თუ ვიმსჯელებთ არსებული ცნობების მიხედვით, კონგოს მდგომარეობა უკანასკნელ დღეებში მკვეთრად გაუარესდა. რაც იწვევს მსოფლიო საზოგადოებრიობის დიდ შეშფოთებას, რამდენადაც იქმნება რეალური საფრთხე დაძაბულობის კერის შემდგომი გაფართოებისა აფრიკის კონტინენტის ცენტრში. მართლაც, გამოირკვა, რომ ბელგიის სამხედრო პერსონალი, რომლის ევაკუაცია კონგოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან ბოლომდე არც დამთავრებულა, კვლავ ბრუნდება ამ კვეყანაში და ეწევა აქტიურ ძირგამომთხრელ მუშაობას რესპუბლიკის პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ. ბელგიელი ოფიცრები ქმნიან შეიარაღებულ ბანდებს, რომლებიც კონგოს არმიის ალმით მოქმედებენ, აწყობენ თავდასხმებს სამოქალაქო მოსახლეობაზე, ეწევიან ეკონომიურ დივერსიებს, ცდილობენ შექმნან კონგოში სრული პოლიტიკური და ეკონომიური ქაოსის მდგომარეობა.

მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო იმას, რომ კოლონიზატორთა ხრიკების გამო, რომლებიც აშკარად ერევიან კონგოელი ხალხის საქმეებში, კონგოს რესპუბლიკის პარლამენტი კვლავ უმოქმედოდ არის. აკ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მთელი ძალით გაისმა აზიისა და აფრიკის ქვეყნების ბევრი წარმომადგენლის მოთხოვნა, რომ დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნას პარლამენტი.

განცვიფრებას იწვევს ის, რომ ამ მოთხოვნამ დღემდე არ გამოიწვია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის რაიმე რეაქცია. ამასთან, არის ცნობები, რომ ბელგიისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის აგენტურა ყოველ ღონეს ხმარობს, რომ თუ ვერ გააუქმებს პარლამენტს, გადაიტანოს იგი სამხედრო დიქტატურის მორჩილ იარაღად დეპუტატების აშკარა მოსყიდვისა და დაშინების გზით.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, მინდა გთხოვოთ, ხელი შეუწყოთ იმას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებმა დაუყოვნებლივ მიიღონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისა და მისი ჯარების სარდლობის ამომწურავი ცნობა იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რა კეთდება ამჟამად იმისათვის, რომ შესრულდეს უშიშროების საბჭოს ამა წლის 14 და 22 ივლისის, აგრეთვე 9 აგვისტოს გადაწყვეტილებანი. კერძოდ, საჭიროა ვიცოდეთ, როგორ არის კონგოს ტერიტორიიდან ბელგიის შეიარაღებული ძალებისა და სამხედრო სპეციალისტების გაყვანის საქმე, „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების“ სარდლობას რა ღონისძიებების მიღება აქვს განხორციელებული იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას კონგოს პარლამენტის დაუყოვნებლივ მოწვევა, აღიკვეთოს როგორც ბელგიის აგენტურის, ისე ადგილობრივი მოსახლეობის ავანტიურისტული ელემენტების ძირგამომთხრელი საქმიანობა. შეიქმნას პირობები, რათა განახლდეს კონგოს რესპუბლიკის კანონიერი მთავრობის მოღვაწეობა“.

„საქართველოს კომუნისტი“ № 10

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალის „საქართველოს კომუნისტის“ მორიგი, მეათე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია შემდეგი მასალები: **მოწინავე** — დიდი ოქტომბრის იდეებს ზეიმი, **გ. კიკნაძე** — ვ. ი. ლენინი მოზარდ თაობის სწავლების ნაყოფიერ შრომასთან შეერთების შესახებ, **ბ. ლუტიძე** — თანამედროვე რევიზიონიზმის მეთოდოლოგიის მეტაფიზიკური ანსი, **ნ. გომელაური** — ტექნიკური პროგრესი საქართველოს სსრ მრეწველობაში.

საქართველოს კომპარტიის დაარსებისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავისათვის განყოფილებაში გამოქვეყნებულია: **გ. ყვანია** — საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაცია — საბჭოთა ხელისუფლებისათვის მშრომელი მასების ბრძოლის ორგანიზატორი.

განყოფილებაში **საერთაშორისო თემაზე** მოთავსებულია: **ი. ტაბაღუა** — მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის წინადადებები.

პარტიული ცხოვრების განყოფილებაში გამოქვეყნებულია: **ვ. სანიკიძე** — პარტიული ორგანოების აგარიმგება და არჩევნები, **ს. ჭკადუა** — კომკავშირისადმი ხელმძღვანელობა პარტიული ორგანიზაციების ღონეილი საქმეა.

უქნარები გაიძევეს დედაქალაქიდან

აჭა-იქ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვხვდებით ისეთ ადამიანებს, ორმლებიც პატიოსან შრომას გაურბიან, ხელმრუდობენ, ბოლი შემოსავლის წყაროს ეძებენ. მშრომელები მათ საზოგადოების ბორკეტებს ეძახიან.

უკანასკნელ ხანს მიღებულ იქნა მთელი რიგი გადამჭრელი ზომები საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ. პარაზიტული ცხოვრების მოტრფიალენი მხილებული არიან.

„ანტისაზოგადოებრივი, პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების საფუძველზე თბილისის ლენინის რაიონსაბჭოს აღმასკომმა ამ დღეებში მიიღო გადაწყვეტილება ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქიდან მუქთახორების: ლევან მიხეილის-ძე გაგლოევის (არგვეთის ქუჩა № 6), ბიძინა შალვას-ძე ძაისურაძის (ოქტომბრის ქუჩა № 259) და სონია ანტონის ასულ ცეგელნიკოვას (ჩხიკვაძის ქუჩა № 1) გასახლების შესახებ.

ლევან გაგლოევმა და ბიძინა მაისურაძემ ხერგი აქციეს პატიოსან შრომას. ისინი ლოთობენ, არღვევენ საზოგადოებრივ წესრიგს. მრავალჯერ ყოფილან მიცემული პასუხისგებაში. ბ. მაისურაძე უკანასკნელად საპატიმროდან 1959 წლის 14 აგვისტოს გამოვიდა და მას შემდეგ ესაქმიდან დაეხეტება, მუქთახორობს, ხელმრუდობს. ს. ცეგელნიკოვა ათი წელია, რაც არ მუშაობს, ამორალურ ცხოვრებას ეწევა.

უქნარები, სარეველები ბ. მაისურაძე და ლ. გაგლოევი ამ დღეებში ორ-ორი წლით გასახლებული იქნებიან თბილისიდან, დედაქალაქიდან გაიძეგზავნ იგრეთვე ს. ცეგელნიკოვას.

კ. კვარაცხელი.

მდგომარეობა კონგოში

ნიუ-იორკი. 30 ოქტომბერი. (საკდესი). ამერიკის ზოგიერთი საკვანძო გაზეთი შეშფოთებას გამოთქვამს ამერიკის შეერთებული შტატების პროვოკაციული გადაწყვეტილების გამო, რომ „კეთრადღის დასვენების“ საბაბით საზღვაო ქვეითი ჯარის 1.450 ჯარისკაცი გადასხას ამერიკის ბაზაში კუბაზე.

„ნიუ-იორკ ტაიმსის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტი, უარყოფს რა როგორც არასერიოზულს გუშინდელ ოფიციალურ მტკიცებას, თითქოს ეს გადასხმა „ჩვეულებრივი მოქმედებაა“, წერს:

ეიზენჰაუერმა „საკუთარი მოიწონა“ კვირის ბოლოს ნებართვა, რომ ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარის 1000-ზე მეტი ჯარისკაცი გაიგზავნოს გუანტანამოს ბაზაში კუბაზე. თეთრი სახლის პრესის საკითხთა მდივნის ჰეგერტის განცხადება ეიზენჰაუერის პოზიციის შესახებ „ადასტურებს, რომ საზღვაო ქვეითი ჯარისკაცების ეს ვიზიტი არ მიაჩნიათ როგორც ჩვეულებრივი. და რომ ეს საკითხი განიხილეს მთავრობის უმაღლეს დონეზე... ჩვეულებრივ პრეზიდენტს არ ატყობინებენ, რომ განზრახვა აქვთ საზღვაო ქვეითი ჯარს ნება დართონ გადავიდეს ნაპირზე არასამსახურებრივი მიზნებისათვის“.

პრესა იუწყება აგრეთვე, რომ გრძელდება კუბელი კონტრრევოლუციონერების მომზადება ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე, რათა მონაწილეობა მიიღონ კუბაზე თავდასხმაში. „დეილი ნიუსის“ კორესპონდენტი მიაჩნდან იუწყება, რომ მრავალ ათას კუბელ ლტოლვილთა შორის, რომლებიც უკანასკნელ რამდენიმე თვეში განუწყვეტლივ ჩადიან ფლორიდაში, იქმნება „ძალა, რომელიც ადგილობრივ ფარული არმია. მაიამში იგრძნობა დაძაბულობა“.

კორესპონდენტის სიტყვით, გაძლიერდა „ნახევრადსამხედრო“ ჯგუფების შექმნა. ზოგიერთმა მათგანმა უკვე მიიღო იარაღი. ერთ-ერთი ასეთი ჯგუფი ტელევიზიით აჩვენეს. მისი ხელმძღვანელი იკვეხნიდა, რომ „მზად არის საბრძოლველად“, როგორც კი „შესაძლებლობა ექნება იერიში მიიტანოს“ კუბაზე.

ამერიკული იარაღით შეიარაღებული ეს ბანდიტები კუბის ტერიტორიაზე შეიჭრნენ. კუბის რესპუბლიკის სამხედრო ნაწილებმა ალყა შემოარტყეს ბანდას მისი მეთაური მოკლულ იქნ. **კონტრრევოლუციური ბანდის ზოგიერთი მონაწილე ტყვედ დანებდა. გამორკვეულია, რომ მათ შორის იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეები.**

ამერიკის აგრესია კუბის წინააღმდეგ

ნიუ-იორკი. 30 ოქტომბერი. (საკდესი). ამერიკის ზოგიერთი საკვანძო გაზეთი შეშფოთებას გამოთქვამს ამერიკის შეერთებული შტატების პროვოკაციული გადაწყვეტილების გამო, რომ „კეთრადღის დასვენების“ საბაბით საზღვაო ქვეითი ჯარის 1.450 ჯარისკაცი გადასხას ამერიკის ბაზაში კუბაზე.

„ნიუ-იორკ ტაიმსის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტი, უარყოფს რა როგორც არასერიოზულს გუშინდელ ოფიციალურ მტკიცებას, თითქოს ეს გადასხმა „ჩვეულებრივი მოქმედებაა“, წერს:

ეიზენჰაუერმა „საკუთარი მოიწონა“ კვირის ბოლოს ნებართვა, რომ ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარის 1000-ზე მეტი ჯარისკაცი გაიგზავნოს გუანტანამოს ბაზაში კუბაზე. თეთრი სახლის პრესის საკითხთა მდივნის ჰეგერტის განცხადება ეიზენჰაუერის პოზიციის შესახებ „ადასტურებს, რომ საზღვაო ქვეითი ჯარისკაცების ეს ვიზიტი არ მიაჩნიათ როგორც ჩვეულებრივი. და რომ ეს საკითხი განიხილეს მთავრობის უმაღლეს დონეზე... ჩვეულებრივ პრეზიდენტს არ ატყობინებენ, რომ განზრახვა აქვთ საზღვაო ქვეითი ჯარს ნება დართონ გადავიდეს ნაპირზე არასამსახურებრივი მიზნებისათვის“.

გაიმარჯვებს ჩვენი ხალხი

ფიდელ კასტროს გამოსვლა კუბელ ოფიცრებთან

ჰავანა, 30 ოქტომბერი. (საყდეი). 29 ოქტომბერს გიმართა კუბის მეამბოხეთა არმიის ოფიცერთა სკოლის მსმენელთა პირველი ჯგუფის დამთავრება. კუბის რევოლუციური არმიის 55 ახალგაზრდა ოფიცრისათვის დიპლომების გადაცემა სახელმძღვანელო აქტს. რომელიც მანაგუას სამხედრო ბანაკში მოეწყო, დაესწრნენ კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტი ოსვალდო დორტიკოსი, პრემიერ-მინისტრი ფიდელ კასტრო და კუბის მთავრობის წევრები.

დიპლომების გადაცემის შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ფიდელ კასტრომ. მან აღნიშნა, რომ არმიის ახალგაზრდა ოფიცერთა პირველი ჯგუფის მომზადების დამთავრება კუბის რევოლუციის კიდევ ერთი წარმატებაა. ოფიცერთა სკოლის კურსდამთავრებულებმა, თქვა კასტრომ, გაიარეს არა მარტო თეორიული მომზადება კლასებში, არამედ მათ გაიარეს ძნელი განსაცდელი საბრძოლო მომზადების პერიოდში, სიერა მაესტრას მთებში წვრთნის დროს. ფიდელ კასტრომ აგრეთვე აღნიშნა, რომ ეახლოეს ხანში მოეწყობა სახალხო მილიციის რაზმების 500-ზე მეტი ხელმძღვანელის გამოშვება, რომლებმაც აგრეთვე გაიარეს სერიოზული თეორიული და პრაქტიკული მომზადება.

წინათ, თქვა შემდეგ კასტრომ, ჩვენ გვქონდა ენთუზიაზმი. ახლა გარდა ენთუზიაზმისა, ჩვენ გვაყვს მომზადებული ადამიანები, ჩვენ გვაქვს ტექნიკური ცოდნა, გვაქვს იარაღი. და მტერმა მშვენივრად იცის ეს. მან იცის, რომ კუბის დამცველთა რიგებს ყოველდღე ემატება ასობით ადამიანი, ყოველ კვირაში ემატება ათასობით ადამიანი. მან იცის ჩვენი ხალხის ძალა. და მას არ უნდა, რომ ეს ძალები იზრდებოდეს და ვითარდებოდეს. ამიტომ. იგი ჩქარობს მიიღოს ყველა შესაძლო ღონისძიება, რათა ხელი შეუშალოს ჩვენი ძალების შემდგომ ზრდას.

ამას გარდა, თქვა კასტრომ, ამერიკელმა იმპერიალისტებმა ჩვენი კუბელი გადაიქციეს თავიანთი საარჩევნო კამპანიის ასპარეზად. და ისწრაფვის რა დაკმაყოფილოს თავისი სულმდაბალი ინტერესები, გბაბონებელი იმპერიალისტური ჯგუფი მზად არის ჩაიდინოს აგრესია კუბის წინააღმდეგ.

ვერავინ და ვერასდროს, განაცხადა კასტრომ და მიუთითა კუბის სახელმწიფოალმაზე, ვერ შეძლებს მოგლეჯოს ეს დროშა თავის ტარს; ეს სიმბოლო არასოდეს არ იქნება იმ ხალხის დროშა, რომელიც მონობაში ცხოვრობს.

შემდეგ კასტრომ განაცხადა, რომ მთელი ხალხის უმნიშვნელოვანესი ამოცანა ახლა, როცა აგრესიის საფრთხეა, ის არის, რომ შეინარჩუნოს ნორმალური წარმოება თავის ქვეყანაში. არ შეიძლება წინააღმდეგობა გავუწიოთ აგრესორს, თქვა მან, თუ ნორმალურად არ იმოქმედებენ ჩვენი სკოლები და ფაბრიკები. კასტრომ გააფრთხილა კუბელი ხალხი, რომ ყველა ვერ შეძლებს იბრძოლოს იარაღით ხელში და რომ ყოველი მათგანი უნდა იყოს თავის პოსტზე.

ყოველ კუბელს ტერიტორიული ერთიანობა ახლა ის არის, რომ არ გამოიჩინოს შეშფოთება, არ დაკარგოს იმედი, იყოს დისციპლინური, ელოდოს, როდის დაუძახებენ მას. ჩვენ არ უნდა გავხდეთ ჩვენი ენთუზიაზმის მსხვერპლი და ყოველ კითარებში ნორმალურად და მშვიდად უნდა შეკასრულოთ ჩვენი ამოცანები იმ რწმენით, რომ ის, ვინც აღმართავს ხელს კუბის წინააღმდეგ, განადგურებულ იქნება.

ისტორიის კანონი, აღნიშნა შემდეგ კასტრომ, ამბობს, რომ საერთაშორისო რეაქცია ყოველთვის აწყობდა აგრესიას რევოლუციის წინააღმდეგ. მაგრამ არის მეორე გარდაუვალი კანონიც: რევოლუციური ხალხები, რევოლუციები არ მარცხდებიან.

ეწყობოთ, თქვა კასტრომ, რა მოხდება თუ ამერიკამ, როცა იუბის რევოლუციის წინააღმდეგ მოახდენენ პირდაპირ ან არაპირდაპირ შეიარაღებულ აგრესიას, როცა ხალხები გაიგებენ, რომ კუბელი ხალხი კვლავ იბრძვის არა მარტო თავისი, თავისუფლებისა და თავისი გვიანისათვის. არამედ კონტინენტის ყველა მომძე ხალხებისთვისაც. ჩვენ ვიბრძოლებთ ყველა უკლებლივ. ჩვენი ერთიანობა. ჩვენი სიმშვიდე და ჩვენი ბედის. ოწმენა ჩვენი გამარჯვების გარანტია.

ფიდელ კასტრომ, რომელიც კუბელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის გმირის მასიერ სიტყვებით ლაპარაკობდა, ხაზგასმით აღნიშნა: ვინც შეეცდება დაიპყროს კუბა, მტვრად -იქცევა. ჩვენ გვაქვს მხოლოდ ერთი ლოზუნგი. თქვა მან დასასრულ: სამშობლო ან სიკვდილი; ჩვენ გვაქვს ოწმენა, რომ ჩვენი ხალხი გაიმარჯვებს.

XIV საჭადრაკო ოლიმპიადა

ლაიპციგი, 31 ოქტომბერი. (საკდესი). მე-14 საჭადრაკო ოლიმპიადის დაუთამაშებელი პარტიების გათამაშებაში, რაც დღეს გაიმართა, გლეგორიჩ (იუგოსლავია) — ტალის (სსრ კავშირი) მეორე ტურის პარტია ყაიმით დამთავრდა. მაა შემდეგ, რაც ბოტვინიკ ყაიმს დათანხმდა იკეოთან. სსრ კავშირის გუნდმა იუგოსლავი მოჭადრაკეები დაამარცხა ანგარიშით 2,5:1,5 ქულა.

მეორე ფინალურ ტურნირში უნდა აღინიშნოს მოულოდნელი დამარცხება, რომელიც ესპანეთის ძლიერმა გუნდმა განიცადა ფინეთის ახალგაზრდა ოსტატებთან მატჩში.

მეორე ფინალური ტურნირის შეხვედრების საბოლოო შედეგები ასეთია: ინგლისი — ავსტრია 2.5:1,5, ისრაელი — ინდოეთი 4:0, ნორვეგია — ჩილი 2,5:1,5, შვეიცარია — კუბა 2.5:1,5, ფინეთი — ესპანეთი 3:1, პოლონეთი — დანია 2:2.

ლაიპციგი, 31 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ საღამოს საჭადრაკო ოლიმპიადაზე გაიმართა ფინალური შეჯერების მესამე ტური.

მთავარ ფინალურ ტურნირში მაკურებელთა ყურადღების ცენტრში იყო სსრ კავშირ-ჰოლანდიის მატჩი. საბჭოთა მოჭადრაკეები გამოდიოდნენ შემდეგი შემადგენლობით: გროსმაისტერები კერესი, კორჩნოი, სმისლოვი და პეტროსიანი. ჰოლანდიის გუნდში თამაშობდნენ მსოფლიო ექს-ჩემპიონი ეიუე, გროსმაისტერი დონერი, საერთაშორისო ოსტატები ბოუმაისტერი და პრინსი.

ეიუემ მოიგერია კერესის ცდა მოეპოვებინა უპირატესობა და 22-ე სვლაზე პარტნიორები ყაიმზე შეთანხმდნენ. საერთავე შედეგი აღინიშნა პეტროსიანსა-პრინსისა და კორჩნოი-დონერის პარტიებში. სმისლოვ-ბოუმაისტერის პარტია ხუთი საათის ბრძოლის შემდეგ გადაიდო მსოფლიო ექს-ჩემპიონის ერთგვარი ინიციატივით.

ტურნირი ჰოლანდიაში

ჰაააგა, 31 ოქტომბერი. (საკდესი). ამსტერდამში გრძელდება მოჭადრაკე ქალთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. ოთხი ტურის შემდეგ პიო�ელ აგლეზია მსოფლიო ჩემპიონი ელისაბედ ბიკოვა (სსრ კავშირი), რომელმაც 3.5 ქულა მოაგროვა. მეორე ადგილზეა იუგოსლავიის ჩემპიონი ლაზარევიჩი — 3 ქულა, მესამე და მეოთხე ადგილებს იყოფენ ტალელი ბენინი და ჰოლანდელი ფოერკენი, რომლებსაც 2 ქულა აქვთ.

„ზამთარი“ თბილისში

ზამთარია... ხარკეხავით ლაპლაპებს ყინული. და უცებ, ამ კრიალა მოედანზე ცეკვა-ცეკვით მწკრივად შემოდიან ციგურებზე მოსრიალე ქერთმიანი გოგონები. იწყება მოპბიბლავი ზამთრის სეირნება. მოციგურავე გოგონების ულამაზეს ანტიკიას მოციგურავე ვაჟთა მიერ ვირტუოზულად შესრულებული ილეთები ავსებენ. „ზამთარია, ნამდვილი ზამთარი თავიხი სიდიადით. უყურებ, ოცდები, ტკბები და გრძნობ როგორ გიყვრობს ზამთრის ეს დიდებული ფანტაზია.

მაგრამ აი, თბილისის კიროვის სახელობის პარკში დამთავრდა მოსკოვის წარმოდგენა „ზამთრის ფანტაზიის“ გენერალური რეპეტიცია და ამ ქერთმიანმა გოგონებმაც თავი დაალწიეს ზამთრის „ტყვეობას“. გარეთ ხომ ზაფხულივით თბილი შემოდგომაა, თბილისური შემოდგომა და „ზამთრის შვილებმაც“ სიხარულით შესცინინეს სხივუბვ სამხრეთულ მზეს, ფერიებივით მოეფინენ პარკს. შემდეგ კი დიდხანს, ძალიან დიდხანს ტკბებოდნენ თბილისის მშვენიერებათა ხილვით. ეს იყო გუშინ.

დღეს კი, კიროვის პარკში კვლავ დიდგება დიდებული „ზამთარი“ და ეს გოგონები, რომლებსაც თქვენ სურათზე ხედავთ, თავიანთ სიბალეტო დასთან ერთად, თოვლის „დედოფლებად“ მოგვევლინებიან.

გ. სამსონაძე

სურათზე: მოსკოვის წარმოდგენა „ზამთრის ფანტაზიის“ სოლისტები (მარცხნიდან): ა. ფურაშოვა, ლ. ვოშვაკოვა, ი. გრაჟდანინოვა და გ. სოლოვიოვა კიროვის პარკში შესვენების დროს.

ფოტო ო. არობელიძისა.

ამინდი

2 და 3 ნოემბერს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ალაგ-ალაგ წვიმა. სუსტი ქარი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 8-13, დღისით 18-23 გრადუსი, მთიან რაიონებში ღამით 1-6, დღისით 13-18 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში — მცირე მოღრუბლულობა უნალექოდ, დასავლეთის სუსტი, მტკვრის ხეობაში ზომიერი ქარი; ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 3-8, დღისით 17-22 გრადუსი, მთიან რაიონებში ღამით 3 გრადუსი ყინვა — 2 გრადუსი სითბო, დღისით 12-17 გრადუსი სითბო.

რედაქტორი

დ. მჟელიშვილი.

ტელეგრაფი გვატყობინებს

ამერიკის ქვეითი ჯარი გადასხდა გუანტანამოს ბაზაში

ნიუ-იორკი, 29 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც იუწყებიდ პრეს ინტერნეიშნლის საკვანძო ბავანიდან იუწყება, საზღვაო ქვეითი ჯარის 1450 ამერიკელი ჯარისკაცი გადასხდა დღეს ამერიკის გუანტანამოს სამხედრო-საზღვაო ბაზაში, რომელიც კუბაში ზღვარეთს.

ფულადობა ცენტრალურ ამერიკაში

ნიუ-იორკი, 30 ოქტომბერი. (საკდესი). დიდი ფულადობის შედეგად, რაც გამოიწვია კოკისპირულმა წვიმებმა ცენტრალური ამერიკის ფუნარი ოკეანის სანაპიროს რაიონში, ნიკარაგუაში დაიღუპა ასზე მეტი კაცი და ბევრი ათასი მცხოვრები დარჩა უსახლკაროდ. კოსტა-რიკაში დაღუპულთა რიცხვი 50 კაცს აღემატება. ბევრი დასახლებული პუნქტი წყალმა დაფარა. მოძრაობა ბევრ გზაზე, მათ შორის ამერიკის ქვეყნების გზატკეცილზე, შეწყვეტილია. ამის შედეგად საჭირო მედიკამენტები, კვების პროდუქტები და ტანსაცმელი დაზარალებულებს ეგზავნებათ მხოლოდ თვითმფრინავებისა და ვერტმფრინავების დახმარებით.

მსოფლიო ჩემპიონატი ფრენგურთში

რიო-დე-ჟანეიროო, 31 ოქტომბერი. (საკდესი). ბრაზილიაში დაიწყო მსოფლიო ჩემპიონატი ფრენბურთში. საბჭოთა ფრენბურთელებმა მოიპოვეს პირველი გამარჯვებანი.

ქალთა გუნდმა, რომელიც გამოვიდა ბოლდირევას, ბულდაკოვას, სტრელნიკოვას, კონოვალოვას, ბახალოვაკაიას, ვარკევიჩის (ვარკევიჩი თამაშის ბოლოს შეცვალა ჩეღინამ) შემადგენლობით, მოუგო პერუს გუნდს ანგარიშით 3:0 (15:4, 15:3, 15:5). ეიათა გუნდმა მოუგო პარაგვაის გუნდს ანგარიშით 3:0 (15:2, 15:7, 15:2).

ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲜᲝ!

ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲓᲐᲑᲐᲒᲘᲜᲬᲧᲓᲐᲗ ᲚᲐᲢᲐᲠᲘᲘᲡ ᲑᲘᲚᲔᲗᲘᲡ ᲨᲔᲫᲔᲜᲐ?

1960 წლის 30 ნოემბერს ქ. თბილისში ჩატარდება საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1960 წლის მეოთხე გამოშვების ლატარიის მოგებათა ტირაჟი.

სულ ტირაჟში გათამაშდება ფულისა და ნივთების 3.375.000 მანეთის 90.000 მოგება.

სამშანეთიანი ლატარიის ბილეთით შეიძლება მოიგოთ ავტომანქანები „ვოლგა“ და „მოსკვიჩი“, საწოლი ოთახის გარნიტური, პიანინო, რადიოლა, ტელევიზორი, მაცივარი, სარეცხი მანქანა, საკერავი მანქანა და სხვა ნივთისა და ფულადი მოგება.

ფულადი მოგებები გათამაშდება 20 მანეთის, 50 მანეთის, 100 მანეთის, 500 მანეთის, 1000 მანეთის და 5000 მანეთის ოდენობით.

ლატარიის ბილეთები იყიდება შემნახველ სალაროებში, პარკებში, სტადიონებზე, თეატრებში, კინოთეატრებში, მაღაზიებში, კავშირგაბმულობის საწარმოებში, გაზეთის კიოსკებში, რკინიგზის მატარებლებში, ეკვანლებში, ნავმისადგომებში. აგრეთვე სოფლად წერილების დამტარებელთა მეშვეობით.

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო.

თეატრები. რუსთაველის სახელობის — ბახტაონი, მარჯანიშვილის სახელობის — გურჯაანის სახელობრ თეატრის წარმოდგენა — „მეუღლენი“, გრიბოედოვის სახელობის — დამოკლეს მახვილი, **სანკულტურის** — ჯავშნიანი გული (აბონ. გაოეშ), **ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — ჯერ დაიბოკვნენ. მერე ეკრონენეს (სომხური დრამის თეატრის შენობაში), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — გიორგი (აბ. № 14, 6 ს.). **თოჯინების ქართული** — ზარმაცი კოკო (11 ს.), ქაჯანა (4 ს.). **ოფიცერთა სახლის საზამთრო დარბაზი** — საეტრიოდ კონცერტი პ. ბახმოროვისა და ბ. პეტროვის მონაწილეობით.

ტელევიზია: 19.00 — გადაცემა — „გამოჩენილი საბჭოთა დრამატურგი ალექსანდრე ვალაბაძე“, 19.40 — კიროვურნალი, 19.50 — ახალი ამბები, 20.00 — თვითმოქმედი კოლექტივი სტუდიაში, 20.30 — ახალი მხატვრული ფილმი — „ელოდეთ წერილებს“.



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია

აცხადებს კონკურსს:

1) ასტროფიზიკის,

2) ვარსკვლავთ ასტრონომიის და

3) მზისა და ცოცხალების განყოფილებების გამგეების და ასტროფიზიკის განყოფილების ერთი უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტურ თანამდებობებზე.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ორ-ორ ცალად სათანადო საბუთები შემდეგი მისამართით: აბასთუმანი, ასტროფიზიკური ობსერვატორია.

კონკურსის ვადა — ორი კვირა დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05. პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80. სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა შშენებლობის — 3-81-84, მარქსისტულ ლენინური თეორიის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-57-61, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, წერილების — 3-73-24, ინფორმაციის — 3-16-90, საილუსტრაციო — 3-20-43, მუშა ოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42.

ᲔᲔ 03976

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.